საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცეა, ფცეულებით და ჯოჯებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 23 მარტი, 2013 წელი.

№54 (7181)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

საქართველოს ალარ არის საპრეზიდენტო ქვეყანა

8

მიხეილ სააკაშვილს საკვანძო უფლებამოსილებანი ჩამოართვეს

„ნაცმოძრაობა“ თავიდან დაიბადა, თუმცა – 2

2

შსააკაშვილოდ

ძალა უძალოთა

ქართული ამნისტიის კანონს ევროპელები სამაგალითოდ მიიჩნევენ

9

კოდუეებს და ჩოჩელს თაღლითობა ძვირად დაუჯდათ!

ახალი მეჩეთი არ უნდა აშენდეს!

4

კვირაძალს საკითხავი

პოეტის სიტყვა პოეტზე

6 7

მიხეილ ქვლივიძე

რამდენიმე ლექსი „100 ლექსიდან“

◎ წინ, საქართველო!

ბაჯაღლოს ბოლო აკორდი

გილოცავთ, თანამემამულენო! – თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი ოქროს აკორდით 84 კგ წონითი კატეგორიის ფალავანმა, ლონდონის ოლიმპიადის მესამე პრიზიორმა დავით მარსაგიშვილმა დააგვირგვინა, რომელმაც შარშან მოპოვებული ტიტული შეინარჩუნა.

აღსანიშნავია, რომ მან მთელი ტურნირის განმავლობაში მეტოქეებს მხოლოდ 1 ქულა დაუთმო და ყველას დამაჯერებლად სძლია, მათ შორის რუსეთის წარმომადგენელ ზაურ ურიშევს, ვისთანაც რევანში აიღო ევრო-2011-ის ფინალში დამარცხებისთვის და სატიტულო ბრძოლაში – სომხეთის სახელით მოასპარეზე ჩრდილოკავკასიელ მუსა მურთაზალიევს.

ორი „ოქრო“ და ორი „ბრინჯაო“ – ასეთია ოლიმპიური ჩემპიონის რევაზ მინდორაშვილის მიერ მომზადებული „ჯვაროსანთა“ ნაკრების უხვი მონაგარი. ბრავო!

დღეს და ხვალ თბილისის გივი კარტოზიას სახელობის სპორტის სასახლის ხალიჩა „კლასიკოსებს“ დაეთმობათ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ნაციმოძრაობა“ თავიდან დაიბადა, თუმცა – უსააკაშვილოდ

როგორც პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ „ინტერპრესნიუსს“ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კომენტირებისას განუცხადა, ნათლად გამოჩნდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რიგებში მყოფი ბევრი პოლიტიკური ფიგურა კონკრეტულ გადაწყვეტილებებში „ქართული ოცნების“ მხარესაა.

პოლიტოლოგი ფიქრობს, რომ აღნიშნულის „გამოვლენა“ უმრავლესობას შეეძლო, თუმცა, მიესალმება იმ ფაქტს, რომ სარეიტინგო კენჭისყრით „ქართულმა ოცნებამ“ „მშვიდობიანი გზა აირჩია“.

– სარეიტინგო კენჭისყრის მოთხოვნა და შემდეგ ცვლილებებისთვის მთელი მათი ხმების მიცემა განპირობებული იყო ერთადერთი მიზეზით – არ გამოჩენილიყო, „ნაციონალური მოძრაობის“ რამხელა ნაწილი არის დღეს კონკრეტულ გადაწყვეტილებებში „ქართული ოცნების“ მხარეზე. კენჭისყრის დამთავრებისთანავე პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერთიანობა შეინარჩუნეს. მათი „მოგება“ სწორედ ამ ერთიანობის შენარჩუნების ილუზიის შექმნა იყო. იყო იმის შანსი, რომ „ქართულ ოცნებას“ დაპირისპირება გაემწვავებინა და ეცადა გამოევლინა ის ხალხი, რომელიც არ ემხრობა „ნაციონალურ მოძრაობას“ მათსავე რიგებში, მაგრამ „ქართული ოცნება“ უსუფაშვილის თამადობით, არ წავიდა ამ გზაზე და აირჩია უფრო მშვიდობიანი გზა, რასაც არ შეიძლება არ მიესალმო. საერთოდ, ძალიან კონსტრუქციული იყო როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო ჯგუფი, ისე უმრავლესობის ჯგუფი. განსაკუთრებით ორ დათოს გამოვყოფდი – ბაქრაძესა და უსუფაშვილს, როგორც მკვეთრ საპარლამენტო ფიგურებს, რომლებმაც თავისი პოლიტიკური სახე აჩვენეს. ასევე გამოვყოფდი კიდევ ერთ სახეს, მკვეთრად არაპოლიტიკურს და ესაა საქართველოს პრეზიდენტი. მან თქვა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ თავიდან დაიბადა. შეიძლება ეს ასეც იყო, მაგრამ დაიბადა უმაგისოდ, – აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ.

პარლამენტში პრეზიდენტი ანგარიშით, შესაძლოა, მარტის ბოლომდე წარდგეს

ამის შესახებ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ ირინა იმერლიშვილმა განაცხადა.

მისი განმარტებით, როგორც ადრე ნათქვამი იყო, პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე საკონსტიტუციო ცვლილებების დამტკიცების შემდეგ წარდგება.

პრეზიდენტის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებები პარლამენტმა გუშინ პირველი მოსმენით მიიღო. მანამდე, საპარლამენტო უმრავლესობა აცხადებდა, რომ საკანონმდებლო ორგანოში პრეზიდენტს ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლის შესაძლებლობა მას შემდეგ მიეცემოდა, რაც საკონსტიტუციო ცვლილებების ბედი გადაწყდებოდა და უმცირესობა საკუთარ პოზიციას დააფიქსირებდა.

* * *

მინისტრმა კაბინეტის წევრები პრეზიდენტის გამოსვლას თავისუფალი გრაფიკის შემთხვევაში დაესწრებიან.

როგორც ჟურნალისტებს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ თემის კომენტირებისას განუცხადა, თუ მოსაწვევს მიიღებს და სხვა არაფრით იქნება დაკავებული, პარლამენტში მისვლის წინააღმდეგი არ არის.

პრეზიდენტის გამოსვლაზე დასწრება დაგეგმილი არა აქვს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს. გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მით უმეტეს არ იცის, როდის შედგება ეს ანგარიში. რაც შეეხება სოზარ სუბარს, სასჯელაღსრულების მინისტრი აცხადებს, რომ პრეზიდენტის გამოსვლას არც ერთ შემთხვევაში არ დაესწრება. სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე, მიიღებენ გადაწყვეტილებას ფინანსთა და ინფრასტრუქტურის მინისტრები. როგორც ნოდარ ხადური და დავით ნარმანია აცხადებენ, დატვირთული გრაფიკის შემთხვევაში პრეზიდენტის ანგარიშს ვერ მოუსმენენ. რაც შეეხება ენერგეტიკის მინისტრს, კახი კალაძე აცხადებს, რომ ამ საკითხზე ჩამოყალიბებული პოზიცია არა აქვს.

* * *

თბილისში მდებარე პარლამენტის შენობის მდგომარეობიდან გამომდინარე, 2013 წელს საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისიდან დედაქალაქში გადატანა ვერ მოხერხდება, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა განაცხადა.

თუმცა, მისივე თქმით, პარლამენტი აუცილებლად გადავა თბილისში.

ინტერპრესი

◎ ინტერნეტიდან

ნერტილოვანი ფრაზები

რამდენი დღის ნიუსად გვეყოფა, რამდენ დღეს იტრაბახებს საკუთარ წარმატებაზე, ერთი თუ მეორე მხარე? ამასობაში ხალხი ისევ ჰკიდიათ, სამაგიეროდ, ხომ ნახეთ, დემოკრატიის კუთხით რამხელა ნახტომი გავაკეთეთ და ნაციონალებთან საქვეყნო საქმეს მოეწერა ხელი..... (ვაი ჩვენს პატრონს!).

● კონსტიტუციის მე-80 მუხლი მკლავს, თორემ 51-ს კიდე აიტანდა კაცი (არადა, ეს წლები სულ მიკვირდა, რაშია საქმე-მეთქი. თურმე მე-80 არ ყოფილა?

● აი, ახლა გავიდეთ ხალხში, სოფლებში, თბილისის გარეუბნებში, რაიონულ ცენტრებში და ნამდვილი გამოკითხვა ჩავატაროთ. ისეთი კი არა, NDI და სხვა მაგათნაირი „სამოქალაქო სექტორელები“ რომ ატარებენ და ასეთი შეკითხვა დავსვათ: გკიდიათ თუ არა საკონსტიტუციო ცვლილებები 1. კი 2. არა 3. ჯერ არ გადამიწყვეტია.

მოკლედ თავში მიშა გიხლიათ და მუცელში სარეიტინგო კენჭისყრა, უბრალო ხალხისთვინ არავინ არ არი.

● ნიკოფსიიდან დარუბანდამდე უკვე ჭეშმარიტი კოჰაბიტაციის სურნელი ტრიალებს.

● მე ჩემი ნეტარი ხმა დასავლეთისაგან ბოძებული ჰუმანიტარული დახმარების პამპერსივით ამოდებისათვის არ მიმიცია. რა უნდოდა ნორლანდს დღეს პარლამენტში? მახათიც გიყრიათ.

● ამას კენჭისყრა არ სჭირდება. სასწრაფოდ აღადგინეთ სამართლიანობა. ხალხის გული იმით მაინც მოიგეთ, რომ სანდროს, ბუტას, გიორგი გამცემლიძის, ზურა ვაზაგაშვილის მკვლელნი და ხელისშემწყობნი სათანადოდ დაისაჯონ.

● ვენეციის კომისიამ და ევროპის სახალხო პარტიამ რაო? ხო შეაქეს ბოვშები?

● ამ ცოტა ხნის წინათ სტატუსი დავდე: ბაჩო ახალაიას კულტურის მინისტრის მოადგილედ როდის ნიშნავენ-მეთქი.

● კომენტარებზე ერთი ანეკდოტი გამახსენდა: „გორბაჩოვმა სტალინის სული გამოიძახა, მაგრად მერხევაო. სტალინმა, ორი საკითხი გადაწყვიტეო: 1. მთელი პოლიტბიურო დახვრიტე, 2. კრემლის კედელი მწვანედ გადაღებეო. გორბაჩოვმა, მწვანედ რატომო? სტალინმა, ვიცოდი, რომ პირველ საკითხზე შეკითხვა არ გექნებოდაო“. არავის არ უკითხავს: – კულტურის მინისტრის მოადგილედ რატომო.

● ნაციონალები უკვე იმ კონდიციაში არიან, ორგანიზმი ბალზამს რომ აღარ ღებულობს. ეუფ ...

● ახალი რა თემა ექნებათ ვადაგასულებს, რა პროვოკაციაზე წამოაგებენ ხელისუფლებას, თუ დაიწყო აღმშენებლობა?

გია გაბრიჭიძე

◎ რეპაქცია

ძალა უძალოთა

პრეზიდენტის მიერ მთავრობის დათხოვნასთან დაკავშირებულ საკითხზე ინიციირებული საკონსტიტუციო ინიციატივა პირველი მოსმენით გავიდა. მას სხდომათა დარბაზში მყოფმა უმცირესობის წარმომადგენლებმაც დაუჭირეს. მანამდე კი სარეიტინგო კენჭისყრა ჩატარდა, რომელსაც საპარლამენტო უმცირესობა ითხოვდა და რისი კატეგორიული წინააღმდეგიც იყო მმართველი გუნდი, მაგრამ ბოლო მომენტში, სანამ კენჭისყრა დაიწყებოდა, პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მმართველ გუნდში კონსულტაციების შედეგად გადაწყდა, უმრავლესობა სარეიტინგო კენჭისყრის ჩატარებას დათანხმებოდა. სარეიტინგო კენჭისყრაზე კანონპროექტს მხარი 93-მა დეპუტატმა დაუჭირა.

პოლიტიკური ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე აცხადებს, რომ დღევანდელი დღე ძალიან ძვირად დაუჯდება „ქართულ ოცნებასაც“

და ქართულ საზოგადოებასაც. და ეს მოხდება პირველივე არჩევნებზე, ანუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, რომ აღარაფერი ვთქვათ საპარლამენტო არჩევნებზე.

„ეს იყო კენჭისყრა არა საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“ რეინკარნაციისთვის. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ეს წინასწარ გაეანალიზებინათ და თუნდაც ჩავარდნილიყო საკონსტიტუციო ცვლილებები, შედეგი უკეთესი იქნებოდა, რადგან სააკაშვილი არ დაითხოვდა პარლამენტს და მთავრობას. ეს რომ გაეკეთებინა, ფიზიკურად ვერ მიასწრებდა თვითმფრინავამდე, რომ ქვეყნიდან გაქცეულიყო და ეს გადასარევად იცოდა. სააკაშვილი მიიღებდა საზოგადოებისგან ისეთ აგრესიას, როგორიც დღემდეც კი არ დაუმსახურებია და ის დამთავრდებოდა, როგორც პოლიტიკური ძალა“.

პოლიტოლოგი კახი კახიშვილი აცხადებს, რომ მმართველ გუნდს აკლია თანამიმდევრულობა და საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვამ ეს კარგად აჩვენა. ექსპერტი ხაზს უსვამს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებებს იმასთან დაკავშირებით, რომ სარეიტინგო კენჭისყრა არის კლოუნადა და ის ამაში მონაწილეობას არ აპირებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას მოუწია ამ კლოუნადაში მონაწილეობის მიღება და მისი დირიჟორობა. კახიშვილის თქმით, „ქართული ოცნება“ დარწმუნებული რომ ყოფილიყო, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საკმარისი ხმები ჰქონდა, სარეიტინგო კენჭისყრას არ დაეთანხმებოდა.

მისი თქმით, ყურადღების გამახვილება იმაზე, დაითხოვს თუ არა პრეზიდენტი მთავრობას, საჭირო არ იყო, რადგან სააკაშვილი ამ მთავრობას არავითარ შემთხვევაში არ დაითხოვდა. ექსპერტი მიიჩნევს, რომ ამას გამბედაობა სჭირდება, რაც სააკაშვილს არ გააჩნია.

კახიშვილის განცხადებით, სააკაშვილმა ამ ხუთი თვის განმავლობაში მოახერხა ის, რომ მიუხედავად მისი 9-წლიანი უსამართლო მმართველობისა, დღეს თავი დაიმკვიდრა, როგორც მნიშვნელობით მეორე პოლიტიკურმა ძალამ, ურომლისოდაც გადაწყვეტილებების მიღება ვერ ხდება. კახი კახიშვილი აცხადებს, რომ ივანიშვილის გარემოცვა სააკაშვილს ამ პროცესში ყოველდღე ეხმარება და სააკაშვილი სულელი არ არის, რომ ხელი მოაწეროს ისეთ გადაწყვეტილებას, რომლის გამოც ხალხის პროტესტი წალეკავს.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ დღევანდელი დღით კმაყოფილი იქნება დასავლეთი, რადგან პოლიტიკურმა ცხოვრებამ მშვიდობიანი გეზი აიღო, რაც მისი თქმით, მისასალმებელია. ექსპერტი ფიქრობს, რომ 135 ხმით ცვლილებების მიღება იმის დამსახურებაა, რომ მანამდე სარეიტინგო კენჭისყრა ჩატარდა, რადგან უმცირესობამ მთელი თავისი რესურსი ამ ინიციატივას დაუთმო. რამაზ საყვარელიძეს უჭირს იმის თქმა, როგორ გადანაწილდებოდა ხმები, სარეიტინგო კენჭისყრა რომ არ ჩატარებულიყო.

„არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ გადაწყვეტილების ფონზე აზრს კარგავს 19 აპრილი და ის ჩანაფიქრები, რომლებიც აქამდე იყო გაჟღერებული და რაც მოსახლეობას ძალიან ანერვიულებდა. მე მგონი, საზოგადოება იმით იქნება კმაყოფილი, რომ ამ გადაწყვეტილების ფონზე დესტაბილიზაცია პრაქტიკულად მინიმუმამდე დადის“, – აღნიშნავს ექსპერტი.

პოლიტოლოგი გოგი ხუციშვილი აცხადებს, რომ თუ უმცირესობა და უმრავლესობა შეთანხმდნენ, რომ უმცირესობა საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარს დაუჭერდა, აქ სარეიტინგო კენჭისყრას უკვე სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა.

მისი თქმით, უმრავლესობის გადაწყვეტილება ძალიან მძიმე იყო, მაგრამ ყველას ესმის, რომ ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება იყო უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე „ქართული ოცნების“ რეიტინგი და პრესტიჟი. ამიტომ ამ მნიშვნელოვანისთვის მმართველმა გუნდმა რაღაც გაწირა.

რუსიკო უშიკიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

როცა უთქმელობა არ ეგების

„პუბლიცისტი“ ნათია მეგრელიშვილის აღმოჩენა „აქცენტების“ წამყვან ეკა კვესიტაძეს ეკუთვნის, ხოლო „პოლიტოლოგ“ დავით ოსეფაშვილისა — „არგუმენტების“ წამყვან თეა სიჭინავას. შუახნის ქალბატონი 2012 წლის დეკემბრის მერე გახდა პუბლიცისტი, როცა ვითომ კრიტიკული წერილი მისწერა სააკაშვილს, და ტელეგადაცემების სტუმარიც; ხოლო ახალგაზრდა ასაკს ოდნავ გადაცილებული ვაუბატონი კი მხოლოდ 2012 წლის მარტში გაიცნო ფართო ტელეაუდიტორიამ „არგუმენტებში“ და ზუსტად ორი(!) დღის შემდეგ იგი ნინო ჟიჟილაშვილის „პოლიტმეტრშიც“ იხილა (აბა, ამისთანა ჭკუით და პატიოსნებით დატენილი კაცის ხელიდან გაშვება როგორ შეიძლებოდა!). ისე, ერთხელ, 2011 წლის დეკემბერში, ოსეფაშვილს დონაძის „რეალტივიშიც“ გაუელვებია თურმე, სადაც „ობიექტურობით“ ცნობილი ისტორიკოსისთვის, თვით სვიმონ მასხარაშვილისთვისაც კი დაუმშვენებია მხარი, იმ მასხარაშვილისთვის, რომელიც ურცხვად ამტკიცებდა— ნინო ბურჯანაძის ხალხმა მოლოტოვის კოქტეილი გამოიყენა 26 მაისსო!

საქმე, ცხადია, ის კი არ არის, თუ ვინ რა ასაკში იწყებს საჯარო ლაპარაკს და წერას, მთავარი პრობლემა და დიდი კითხვა ის არის, თუ სად იყვნენ ეს ახლად გამოჩეკილი პუბლიცისტ-პოლიტოლოგები აქამდე, ჭურში ისხდნენ თუ ტყემალზე, 2007 წლის ნოემბრის შემდეგაც რომ არ ამოუღიათ ხმა? მთელი ცხრა წელი დამუნჯებულ—დაყრუებულ—დაბრმავებული ეს ხალხი დღეს რა უფლებით არჩევს საქვეყნო საქმეებს და ბიძინა ივანიშვილს თუ „ერისიონს“ რა პირით აკრიტიკებს, როცა სააკაშვილზე და მის ბანდაზე ენაც არ დაუსველებია! დეკემბერში აეხილა ვითომ მეგრელიშვილს თვალები, ყასიდად რომ გააკრიტიკა „ნაცები“ თანაც, მხოლოდ „ნაცები“, და არა — მათი ლიდერი.

ნორმალურ ადამიანს, ქალს ხელი როგორ არ უნდა აუკანკალდეს, როცა წერს — „ივანიშვილის ფილანტროპია (იგულისხმება პენსიები, რომელსაც ცნობილ ადამიანებს უხდიდა) აღმოჩნდა ბლეფი და სინამდვილეში მან მოახდინა კაპიტალდაბანდება ცოცხალ რესურსში და ბოლოს დივიდენდები მოითხოვა მხარდაჭერის და თანადგომის სახით. და ეს იყო არა პატრიოტული ჩუმი ქველმოქმედება, არამედ პოლიტიკური პროექტი, რომელიც დიდი ხნის წინათ დაიგეგმა, სადღაც“ (ვითომ არ იცის მეგრელიშვილმა ეს „სადღაც“ სად არის — ი.ლ.). როცა მეგრელიშვილი ივიწყებს ივანიშვილის მიერ, დამატებით, „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებისა და ქართული ჯარისთვის გაწეულ უზარმაზარ დახმარებას, სამების ტაძარს, ასობით სკოლის აშენებას, 300-ზე მეტი ისტორიული ძეგლის აღდგენას და კიდევ უამრავ სხვა მართლა პატრიოტულ საქმეს, ასეთ შემთხვევებზე ქართველ კაცს ზუსტი შესატყვისი გამოთქმა აქვს შერჩეული: „ვირო, მადლი ...“

თუკი, მაინც დავუშვებთ, რომ ქ-ნი მეგრელიშვილი და მისთანანი მართლები არიან, და **ივანიშვილმა მართლაც ყველაფერი 10-15 წლის წინათ გათვალა, მაშინ მით უკეთესი ჩვენთვის, ბევრად უკეთესი!** სწორედ ასეთი შორსმჭვრეტელი და ფულზე არდახარბებული (პირიქით, გამცემი!) წინამძღოლები სჭირდება დღეს საქართველოს, და არა — სააკაშვილისნაირი, „თავისუფლების ინსტიტუტში“ და „კმარაში“ გამოზრდილი გოგო-ბიჭები, რომლებიც 10 წლით კი არა, 10 დღით, 10 საათით ვერ იყურებოდნენ წინ.

თუკი იმასაც დავუშვებთ, რომ მეგრელიშვილის (და მისნაირების) მეორე ვარაუდიც სწორია, რომ **ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა „სადღაც“, ანუ რუსეთში დაიგეგმა, მაშინ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის რუსთხელმწიფისთვის.** ოღონდაც, დიდ მადლობასთან ერთად, ერთი თხოვნაც გვექნება სეროჟას „კიდე მაიტას“ ვარიანტში — ასეთი „მზაკვრობა“ ხშირ-ხშირად ჩაიფიქროს ჩვენმა მეზობელმა და 10 წლიწადში ერთხელ კი არა, ყოველ წელს გამოგვიგზავნოს ბ-ნი ბიძინას მენტალიტეტის მქონე მილიარდერი ზუსტად იგივე დავალებებით (მილიარდნახევარს, საკუთარ ფულს ქვეყანას რომ დაახარჯავს და მხოლოდ ამის მერე გაბედავს ხელისუფლებაში მოსვლას!), ოღონდ ბიძინასნაირები, და არა — ყველაფრისგამყიდველი ბენდუქიძისნაირები!

ახლა მეორე „აღმოჩენაზე“ — ოსეფაშვილზე, რომელმაც, „იმედიდან“ განთავისუფლების შემდეგ, მარტში იწყო გააქტიურება ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნიკოლოზ ვაშაკიძის მკრეხელური სიტყვების გამეორებით: „მოსკოვში ცეკვა ომში დაღუპული ბიჭების საფლავებზე ცეკვის ტოლფასი იყოო“.

როცა 2008 წლის აგვისტოს ორდღიან ომში სამარცხვინო დამარცხების ფონზე; დაღუპული, ბრძოლის ველზე უპატრონოდ დატოვებული, ჯერ კიდევ მიწას მიუბარებელი ბიჭების ცხედრების ფონზე; ცხინვალის რეგიონში სასიკვდილოდ, გასაუპატიურებლად და გასაუბედურებლად ხელისუფლების მიერ შეგნებულად(!) ჩატოვებული მშვიდობიანი მოსახლეობის ფონზე ტაშ-ფანდურს მართავ რუსთაველზე რუსეთზე „გამარჯვების“ აღსანიშნავად; როცა იმავე რუსთაველზე, 26 მაისს სისხლით მორწყულზე და იქვე, მაღაზიის სახურავზე შემოდებული ორი ცხედრის ფონზე მეორე დილით ჩინ-მედლებს იღებენ სააკაშვილის სისხლიანი ხელებიდან; როცა ასობით უდანაშაულოდ ნაწამებ-ჩახოცილი (ქუჩებში, ციხეებში, პოლიციაში) ადამიანის ფონზე; მოსახლეობის ნახევარზე მეტის სიღატაკეში ყოფნის ფონზე; ხელისუფლებაში ცალ-ცალი კალოშით მოსულების გამილიონერების და მათი ზღვარგადასული „გულაობის“ ფონზე ისმენ საჯაყი, ყავლგასული პრეზიდენტის ტყუილებს, ცილისმწამებლურ, ანტისახელმწიფოებრივ საჯარო გამოსვლებს (ადვილი წარმოსადგენია, თუ რა შხამს ანთხევს იგი პრივატულ საუბრებში უცხოელებთან!) და შენ, პუბლიცისტო თუ პოლიტოლოგო, სათქმელი მაინც არაფერი გაქვს იმის მეტი, რომ ივანიშვილი აკრიტიკო — დენი უფრო მეტად რატომ არ გააიაფა და პენსიები ორჯერ რატომ არ გაზარდაო, სწორედ ესაა დაღუპულთა სულების შეურაცხყოფა და მათ საფლავებზე ცეკვა, არა მარტო სამაჩაბლოში დაღუპულების, არამედ აბსოლუტურად ყველას საფლავებზე ცეკვა, ჩვენი წინაპრების საფლავებზე ცეკვაც, და როცა ვაუბატონი, უკაცრავად, დიპლომატი(!) ვაშაკიძე უკადრებელს კადრულობს, როცა მას თავში არ მოსდის სააკაშვილის 9-წლიან განუკითხაობაზე მსგავსი შედარებები, ჩემი ღრმა პატივისცემის მიუხედავად ამ გვარის მიმართ (სხვა თუ არაფერი, ბებია მყავდა ვაშაკიძის ქალი და ბავშვობის მეგობარიც ამ გვარის კაცი მყავს), მას უნდა ვუთხრა ის, რასაც იმსახურებს:

ჩემს სოფელში, დიდ ჯიხაიშში, ვაშაკიძეების სიმრავლის გამო გავრცელებულია გამოთქმა: „ქვა რომ ააგდო, ვაშაკიძეს დაეცემა თავშიო“. ალბათ, ვიღაცამ მართლა ააგდო ქვა და სწორედ ამ ვაშაკიძეს დაეცა თავში, აქედან გამომდინარე „არადიპლომატიური“ შედეგებით!

რაც შეეხება უშუალოდ „ერისიონის“ გასტროლებს, მას მართალია, ბევრი გადაცემა და წერილი მიეძღვნა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ყველგან მსგავსი და არც მთლად გამართული (დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით) კითხვები ისმებოდა: რა აზრის ბრძანდებით რუსეთში გასტროლებზე საერთოდ და, კერძოდ, კრემლის საკონცერტო დარბაზში გამოსვლაზე, მოღალატეები არიან მოცეკვავეები და მომღერლები თუ — გმირები, თავისი ნებით და ფულით წავიდნენ თუ სახელმწიფომ, კულტურის სამინისტრომ დააფინანსა და სხვა მსგავსი. პასუხებზე უეჭველად გავლენას მოახდენს რესპონდენტის პოლიტიკური შეხედულება — პროამერიკელია, რუსეთუმე თუ, უბრალოდ, საქართველოს ინტერესებზე მაფიქრალი. ფაქტია, რომ ყველა მისისტმა, ანუ „ნაცისტმა“ „ერისიონის“ გამოსვლები დაგმო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „იმედის“ „ღია ეთერით“ ჩატარებული გამოკითხვით აშკარად გამოჩნდა — საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა — 75 % რუსეთში გასტროლებს მიესალმება. ეს კი ასეა, მაგრამ თუ კითხვა ოდნავ სხვაგვარად, სახელმწიფო ინტერესების ჭრილში დაისმებოდა, მაგ. ასე: „ერისიონის“ გასტროლებმა რუსეთში ხელი შეუწყო თუ ხელი შეუშალა საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების აღდგენას (რის აუცილებლობასაც როგორც იქნა მივხვდით და, რაც ამჟამინდელ ხელისუფლებას აქვს მიზნად დასახული), დარწმუნებული ვარ, იმ 25 %-დან ბევრი 75 %-იანთა ბანაკში გადაინაცვლებდა, და ტელეეთერში გამოსული პირწავარდნილი „ნაცებიდანაც“ კი ვერავინ გაბედავდა საჯაროდ ეთქვა სისულელე, რომ გასტროლებით საქართველოს სახელმწიფო ინტერესები, ანუ ხალხის ინტერესები დაზარალდა! და თუ ვინმე ვაშაკიძისნაირ პასუხს გასცემდა, მაშინ სრული უფლება გვექნებოდა დაგვესკვნა, რომ იმ ქვის მსგავსი, ვაშაკიძეს რომ დაეცა, სხვასაც დასცემია თავში.

ოსეფაშვილი მარტო ვაშაკიძის სიტყვებს არ იმეორებს, იგი ევროპარლამენტის 23 წევრსაც (ამათგან 19, „ნაცმოძრაობის“ ძმადნაფიცი „სახალხო პარტიის“(!) წევრია) ეთანხმება და 8 თებერვალს საჯაროსთან შეკრებილ ნატანჯ-ნაწამებ პოლიტპატიმრებს და მათ მხარდამჭერებს ბრბოდ მიიჩნევს. ეს ე.წ. „პოლიტოლოგი“, რაღა თქმა უნდა, მისი ყავლგასული პრეზიდენტის მოსაზრებასაც იზიარებს — რა უფლება ჰქონდა ივანიშვილს კოტე კუბლაშვილის ავადმყოფობა რომ ახსენა, ეს ხომ ეთიკური ნორმების დარღვევააო. დავიჯერო ამ კაცმა, საერთოდ, იცის ეთიკა რა ხილია?! მისი გამონათქვამებიდან ამას ნორმალური ადამიანი ვერაფრით ვერ დაიჯერებს.

რაც შეეხება სააკაშვილ-ოსეფაშვილის ბრალდებას ივანიშვილის მიერ კუბლაშვილის ავადმყოფობის „გამჟღავნებასთან“ დაკავშირებით. ჯერ ერთი, ივანიშვილმა განაცხადა, რომ მას ადამიანურად ესმის კუბლაშვილის მდგომარეობა, რომელსაც უჭირს სააკაშვილის ნების წინააღმდეგ წასვლა იმის გამო, რომ ავადმყოფობის დროს პრეზიდენტი მას ეხმარებოდაო. ივანიშვილს დიაგნოზი არ გაუსაჯაროებია, ხოლო კუბლაშვილის ავადმყოფობის თაობაზე ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე იცოდა მთელმა საქართველომ, ვინც გაზეთებს კითხულობს და ტელეგადაცემებს უყურებს. ეს არ სცოდნია, თუ(!) დავუჯერებთ,მხოლოდ ოსეფაშვილს. მგონი, მართლა ჭურში იჯდა! აქვე, ცნობისათვის — ახლახან არჩეულ რომის პაპს ფრანცისკ პირველს სიცოცხლისთვის საშიში პნევმონია და კისტები ჰქონია, რის გამოც ფილტვის ნაწილიც ამოუკვეთავთ თავის დროზე, და ეს ამბავი მთელმა მსოფლიომ გაიგო ვიკიპედიის მეშვეობით და საინფორმაციო საშუალებებით. ყოლოდა ვატიკანს ერთი სააკაშვილი ან ოსეფაშვილი მაინც, ხომ გაატარებდა ყველას კრიტიკის ქარცეცხლში სამედიცინო საიდუმლოების გამჟღავნებისთვის, არაეთიკურობისთვის. მაგრამ ბედი უნდა ყველაფერს — სააკაშვილ-მასხარაშვილ-მეგრელიშვილ-ოსეფაშვილები და მათი დაქალ—ძმაკაცები მარტო ჩვენ გვარგუნა ბედმა!„პოლიტოლოგმა“ ოსეფაშვილმა ისიც არ იცის, რომ რიგითი მოქალაქის ავადმყოფობაზე არ შეიძლება ლაპარაკი, თორემ უმაღლესი საჯარო მოხელის ჯანმრთელობის მდგომარეობა, განსაკუთრებით, ფსიქიური სფეროსი, აუცილებელიცაა(!) ცნობილი იყოს. რამდენ უბედურებას ავიცილებდით ეს წესი 2003-ში ან 2008-ში მაინც რომ გამოგვეყენებინა!). რაც შეეხება უშუალოდ კუბლაშვილს, როგორც **უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მას შემდეგ რაც იგი რაღაცნაირად (მიღებული დახმარების შედეგად) დამოკიდებული გახდა სხვაზე, ჩვენს შემთხვევაში პრეზიდენტზე (და კიდევ ზოგიერთზე), აღარა აქვს უფლება (არც მორალური და არც იურიდიული) დარჩეს უმაღლეს მოსამართლედ!** ამ გარემოებაზე კიდევაც მიუთითა მინდია უგრეხელიძემ, მაგრამ ვინ აცალა აზრის სრულად გამოთქმა (14 მარტის „პოლიტმეტრში“)!

არ იფიქროთ, რომ ოსეფაშვილი მხოლოდ სხვის მოსაზრებებს იზიარებს, არა, მას საკუთარიც(!) აქვს და არც შედარებებში უდებს ტოლს ვინმეს. ივანიშვილის რიტორიკას იგი „პოლიტიკური ყაჩაღის რიტორიკას უწოდებს“, თავად ივანიშვილს კი „სამართლებრივი ჩარჩოებიდან გასულად, ქართული სახელმწიფოებრიობისთვის საშიშ“ ელემენტად თვლის! არც მეტი, არც ნაკლები! სააკაშვილს კი არა (არა, არ მეშლება), ივანიშვილს მიიჩნევს იგი საშიშად! რას არ იტყვის უნამუსო კაცის ენა პატრონის საამებლად!

ოსეფაშვილის კიდევ ერთი პოლიტოლოგიური თუ ექსპერტული მიგნება — თურმე, „ბიძინა ივანიშვილი არ ეგუება იმ მონაპოვარს, რომელიც წინა ხელისუფლებამ დიდი რუდუნებით მოიპოვა“! ნაცების მონაპოვარზე რომ ილაპარაკებს კაცი, ის მართლა „მონა“ უნდა იყოს „ნაცების“ და, შეთავსებით, მათი დემაგოგიური აზრების „პოვარიც“. ენას ძვალი რომ ჰქონდეს ამის მთქმელს უეჭველად ყელში გაეჩხირებოდა. რომელ მონაპოვარზე ლაპარაკობს ეს გონებაჩლუნგი თუ ნამუსგარეცხილი ადამიანი (ისე, შეხედავ და, ინტელიგენტის შესახედაობა აქვს), რას მივაღწიეთ ამ გამო-ტრეინინგებული ლაწირაკების ხელში — დემოკრატიას თუ სამართალს? სოფლის აღორძინებას თუ ეკონომიკურ აღმავლობას? წარმატებებს მეცნიერება-განათლება-ჯანდაცვაში თუ ცხოვრების დონის ამაღლებას? უცხოეთში გადახვეწილების უკანვე, საქართველოში ჩამობრუნებას თუ ლტოლვილების აფხაზეთში დაბრუნებას? ჯანსაღი თაობის აღზრდას თუ, პირიქით, გარყვნილებისკენ, ჰომოსექსუალობისკენ და ნარკომანიისადმი მიდრეკილი ახალგაზრდების მომრავლებას? მრავალსაუკუნოვანი, ქართველობის გადამრჩენი მართლმადიდებლობის გაბატონებას (როგორც, მაგალითად, საბერძნეთში) თუ, პირიქით, მართლმადიდებელი ეკლესიის ძირის გამომთხრელი ნაირ-ნაირი სექტების დაკანონებას? აჰ, ხალხში კორუფციის აღმოფხვრას მივაღწიეთ? ამ ხელისუფლების მიერ ბიზნესის დარეკეტების, მილიონობით ქონების მასობრივი წაგლეჯა-„ჩუქების“ უწესობის დამკვიდრების და ბიუჯეტში ხელის ფათურის ხარჯზე?!

ჩემის ღრმა რწმენით, პუბლიცისტს თუ პოლიტოლოგს, ნებისმიერს(!), რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს დამუნჯებული იყო, რომელმაც 2007 წლის ნოემბრის შემდეგაც არ გააღო პირი საპროტესტოდ და არც კალამს მოჰკიდა ხელი, არ შეიძლება არც პოლიტოლოგი ვუწოდოთ და, მით უფრო, არც —პუბლიცისტი, მათ არ უნდა ეძლეოდეთ სხვისი დამუნათების უფლება 2013—ში(!), ამიტომ ასეთი ადამიანების ტელევიზიებში მიწვევა მკრეხელობაა და ამ ტელეარხების მაყურებლების შეურაცხყოფა! მკრეხელობაა სწორედ ე.წ. ოპოზიციური (ძველი ხელისუფლებისადმი) ტელეარხების — „მაესტრო-კავკასია-მეცხრე არხის“ მხრიდან, თორემ, აბა, „რუსთავი2“-„იმედი“-„საზმაუსთვის“ სულზე მისწრებაა ასეთი „ვარსკვლავები“, თურმანიძის მალამოსავითაა! ტელემაყურებლის უპატივცემლობაა, აგრეთვე, როდესაც ნაკლებად ცნობილ ან სრულიად უცნობ სტუმარს არ წარუდგენენ საზოგადოებას ან ერთი სიტყვით შემოიფარგლებიან — პუბლიცისტი, ექსპერტი, პოლიტოლოგი ესა და ეს, და ამ დროს საქართველოში მათ არავინ არ იცნობს; ვინ მიაკუთვნა ეს ტიტულები მათ — წამყვანებმა, საზოგადოებამ თუ თავად შეარჩიეს, გაუგებარია.

ხშირად, როდესაც გადაცემაში სამ ხმაში კამათობენ (წამყვანის ჩათვლით) და მაყურებელს არაფერი არ ესმის, გვიხსნიან, რომ გადაცემა დებატების ფორმატში მიდის და, ამიტომაც, თითქოსდა, ეს დასაშვებია. სამწუხაროდ, წამყვანებს, როგორც წესი, ავიწყდებათ, რომ ისინი ამ დებატებში მხოლოდ კითხვების დამსმელები და უბრალო მოწმეები კი არ არიან, არამედ მათ არბიტრის, წესების დამცველის ფუნქციაც აკისრიათ, მათ სწორ კალაპოტში უნდა მოაქციონ და ისე წარმართონ, წაიყვანონ(!) დებატები. არ შეიძლება ეს არ იცოდეს სტუდენტების აღმზრდელმა, ლექტორმა ჟიჟილაშვილმა, და როცა ის უყურებს, მხოლოდ უყურებს(!), თუ როგორ ეტლიკინება ოსეფაშვილი, ეს „ამომავალი ვარსკვლავი“ (მინდია უგრეხელიძის „სწორი“ შეფასებით), ლამის ლექციას უკითხავს სამართლებრივ საკითხებზე ბ-ნ მინდიას,პირში ეჩრება, აწყვეტინებს საუბარს და არ აძლევს მას აზრის გამოთქმის საშუალებას, ეს მარტო წამყვანის უსუსურობაზე არ მეტყველებს. იმასაც თუ გავიხსენებთ, როგორ ანაწილებდა დროს ჟიჟილაშვილი მიწვეულ სტუმრებს შორის, მაშინ უკვე აშკარა მიკერძოების ნიშნები გამოიკვეთება. აბა, სხვა რა უნდა დაერქვას ისეთ პარადოქსს, როცა იგი უწიგნურ გოგა ხაჩიძეს სამჯერ უფრო მეტ დროს უთმობს, სამჯერ უფრო მეტჯერ თხოვს მოსაზრების გამოთქმას, ვიდრე — ღვაწლმოსილ მეცნიერს, პროფესორ მინდია უგრეხელიძეს!

იხ. 4 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ აჭარელ მწერალთა პროტესტი

ახალი მეჩეთი არ უნდა აშენდეს!

მწერლობაა ის ძალა, რომელსაც ევალება ქვეყნისა და ერის სატკივარი გაითავისოს და საჯაროდ გამოხატოს თავისი პოზიცია. სწორედ ამ მიზნით ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხზე სამსჯელოდ შეიკრიბნენ ამ დღეებში აჭარაში მოღვაწე მწერლები, რომელთაც სოლიდარობა გამოუცხადეს ჟურნალისტებმა, ინტელიგენციის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებმა.

შეკრება წარიმართა ემოციურ ფონზე, იყო ერთსულოვნება. საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარემ დავით თედორაძემ, მწერლებმა რამაზ სურმანიძემ, შოთა ზოიძემ, ვახტანგ ღლონტმა, ამირან ხაბაზმა, შოთა ანანიძემ, ემენ დავითაძემ, სოსო აბაშიძემ, ცისანა ანთაძემ, ანა დუნდუამ, ბელა ქებურიამ, ტარიელ ცხვარაძემ, სოსო აბაშიძემ, ნიაზ ბოლქვაძემ, ჟურნალ „ჭოროხის“ მთავარმა რედაქტორმა სანდრო ბერიძემ, დეკანოზმა ანდრიამ (თურმანიძე), ჩოხოსანთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარემ თენგიზ თავდგირიძემ, ტელესტუდია „ქვაკუთხედის“ ხელმძღვანელმა ბესარიონ ბიბინეიშვილმა და სხვებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს:

ჩვენ ვართ საქართველოს უძველესი ქრისტიანული კუთხის შვილები, ბედის უკუღმართობამ სამასი წელი მოგვწყვიტა ჩვენს სამშობლოს და ძალად თავსმოხვეული უცხო სარწმუნოების მატარებელი გაგვხადა. 90-იანი წლებიდან, როცა სინდისის თავისუფლება აღდგა, დაიწყო ჩვენი მხარის მკვიდრი მოსახლეობის მასობრივი მიბრუნება თავის წიაღში, პირვანდელი სარწმუნოებისაკენ. მართმადიდებლობა იყო ჩვენი ქვეყნის იდეოლოგიური საძირკველი და ეს კარგად გვესმის თითოეულ ჩვენგანს. აკი საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ ბრძანა: „აჭარამ უნდა მოაქციოს მთლიანად საქართველოო“. დღეს 135 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენი კუთხე დედასამშობლოს დაუბრუნდა. ეს არის ღირსსახსოვარი თარიღი და იმსახურებს ღირსეულ აღნიშვნას, რამეთუ ამ დროიდან სამასწლიანი სიბნელის შემდეგ, დაიწყო კულტურული აღორძინება ჩვენი მხარისა.

ამ ბოლო ხანს ისევ აქტუალური გახდა ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხი. ჩვენ, მწერლები, ერთ მუშტად შეკრულნი, ვაცხადებთ, რომ არანაირი საჭიროება არ არის აიგოს ბათუმში ახალი მეჩეთი. ჩვენ შევისწავლეთ არსებული მდგომარეობა ლოცვის დღეებში და აღმოჩნდა, რომ არათუ გადატვირთულია მეჩეთი, ის არ ივსება მლოცველებით, დღეს აჭარაში 200-ზე მეტი მაჰმადიანური საკულტო და სასწავლო ნაგებობაა მედრესეებით და მედრესე-პანსიონატებით. ამდენი მუსლიმანური სამლოცველო, თვით თურქთა ბატონობის დროსაც არ ყოფილა. ვფიქრობთ, ეს დამაფიქრებელია.

ამავე დროს, დღე არ გავა, აჭარის მკვიდრი ათამდე ადამიანი (მოზრდილი და ბავშვი) არ მოინათლოს საკათედრო ტაძარში.

ჩვენი პოზიცია მტკიცეა. ახალი მეჩეთი არ უნდა აშენდეს, თუმცა არიან ჩვენ გვერდით თანამემამულეები, რომელთაც ეს გააღიზიანებთ, რადგან ან ვერ ხედავენ საშიშროებას, ან მათთვის სულერთია სამშობლოს ბედი, მთავარი პირადი სარგებლობაა და ქვეყნის მომავალი უკანა პლანზე იწევს, ჩვენ, აჭარაში მოღვაწე კალმის ოსტატებმა უნდა ვიაროთ ჩვენი სახელოვანი პოეტების: ფრიდონ ხალვაშის, ზურაბ გორგილაძის, მამია ვარშანიძის და ლადო სეიდიშვილის გზით, ესაა გზა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე დაბრუნებისა, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული, ერის გამთლიანების გზა. ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და ვერავინ შეგვაცვლევინებს ჩვენს მრწამსს, ჩვენმა კუთხემ გადაიტანა უმძიმესი ტრაგედია, როცა სარწმუნოებისათვის თავდადებულ ადამიანებს თავებს ჭრიდნენ და წყალში ყრიდნენ. ჩვენ ვართ სელიმ ხიმშიაშვილის შთამომავლობა და სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, დავიცავთ ყველაფერს, რასაც ქართული ჰქვია. თურქეთი კეთილმეზობლური ურთიერთობის ნიღბით, თანამიმდევრულად ეწევა მათი იდეოლოგიის ექსპანსიას და დღეს საფრთხეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აჭარაში 27.000 თურქი ცხოვრობს ორმაგი მოქალაქის სტატუსით და ბათუმელთა საყვარელი ძველი უბანი, ქუთაისის ქუჩა თურქეთის ვილაეთს ემსგავსება. რელიგია სათუთი და დელიკატური თემაა და ის სახელმწიფო დონეზე არ უნდა წყდებოდეს, თანაც მეზობელ ქვეყანაში, როცა თურქეთის პრემიერი ჩვენს პრემიერს ულტიმატუმის ენით ესაუბრება და კატეგორიულად მოითხოვს ოშკისა და ხახულის რესტავრაციის სანაცვლოდ ბათუმში ახალი მეჩეთის აშენებას. ეს საკითხი ჩვენი ხალხის გადასაწყვეტია და არა პოლიტიკოსების. მოსახლეობას უნდა დავეკითხოთ, უნდათ თუ არა ახალი მეჩეთი ბათუმში. გავიხსენოთ შვეიცარიის მაგალითი, როცა ხალხმა თქვა უარი, მეჩეთი არ აშენებულა.

ქართველ მუსლიმანებს აჭარაში იმაზე მეტი სალოცავი აქვთ, ვიდრე ამის საჭიროებაა, ამიტომ პირიქით, უნდა შემცირდეს მათი რაოდენობა. დავფიქრდეთ, თუ ჩვენი ქართველი მუსლიმანებისთვის საკმარისია არსებული მეჩეთი, ვისთვის უნდა ავაშენოთ იგი, აქ მცხოვრები ან სტუმრად ჩამოსული თურქებისთვის? თურქეთშიც ხომ ბევრი ქრისტიანია ამჟამად დასაქმებული, აუშენებენ მათ სამლოცველოს??? შეიძლება არსებული მეჩეთის გაფართოვება – ახლის აშენება კი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს. აჭარაში ამდენი მეჩეთის აშენება თურქების და იქ მცხოვრები ზოგიერთი მუსლიმანი ქართველის დაფინანსებით მოხდა, თვით ადგილობრივი მუფთი ბოლქვაძე აცხადებდა თავის დროზე: „აჭარაში ეკლესიამონასტრები კი შენდება, მაგრამ არც მუსლიმანები ჩამოვრჩებითო“, არათუ ჩამორჩნენ, თითქმის ოთხჯერ გადაამეტეს ეკლესიათა რიცხვს და კიდევ, მერამდენედ ვკითხულობთ, ვისი ლიცენზიებით იხსნება ჩვენთან მედრესეები, ნუთუ ახალი ხელისუფლების პირობებშიც დუმილს ამჯობინებს განათლების სამინისტრო? ხალხს აინტერესებს, როდემდე უნდა ედოს ბოქლომი შუახევის რაიონის სოფელ გამონათლევში ადგილობრივ მცხოვრებთა შემოწირულობით აშენებულ ეკლესიას?

თურქეთის რესპუბლიკაში ასობით ახალგაზრდამ მიიღო რელიგიური განათლება და ჩვენდა საუბედუროდ, დღეს მათ თურქეთი მოხერხებულად აყენებს მათი იდეოლოგიის სამსახურში და მაღალ ხელფასს უხდის. ჩვენ აშკარა საშიშროების წინაშე ვდგავართ. თურქეთის ოფიციალური წარმომადგენლები არც მალავენ თავიანთ განზრახვას, აჭარას უფრო ადვილად ვიბრუნებთ, ვიდრე წარმოგვედგინაო, წინა ხელისუფლებამ აშკარა დანაშაული ჩაიდინა ქვეყნის წინაშე, როცა ამდენ თურქს ორმაგი მოქალაქის სტატუსი მიანიჭა, მეჩეთის აშენების დაჟინებული მოთხოვნა თურქეთის მხრიდან, ეს არის შეტევა ქრისტიანულ სახელმწიფოზე, მედრესეებში ნამდვილ ისტორიას არ ასწავლიან და მოზარდებს უნერგავენ, ეს მხარე ჩვენი იყო და რუსეთმა წაგვართვაო (ბედის ირონიაა, არა?). ჩვენ საჭიროდ მივიჩნევთ ბათუმში პლებიცისტის ჩატარებას. აქაური მწერლები ერთად შეგვკრა იმ აზრმა, რომ ამ ქართულ მიწაზე და ჩვენს პატარა ქალაქში მეორე მუსლიმანური სამლოცველო არ უნდა აშენდეს. სწორედ ამაში იმალება თურქეთის მზაკვრული ჩანაფიქრი, რასაც, სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი ძმა, ქართველი მუსლიმანი ვერ აცნობიერებს. თუ ხელი არ შევუშალეთ, არავინ იცის, როგორი მადა მოუვათ თურქებს და რა მასშტაბის სამლოცველოს ააგებენ. ვრცელდება ხმები, რომ მთელი კომპლექსის აშენება სურთო, აქ ახალი სამლოცველოს აშენება ეს არის, რა თქმა უნდა, ჩვენს სახელმწიფოში თურქეთის პრივილეგირებული მდგომარეობის დაკანონება. ზოგი ქართული გვარის მატარებელი მათი იდეოლოგიური პოლიტიკის პროპაგანდას ეწევა, ჩვენ მათ გვარებს მალე საჯაროდ დავასახელებთ, ყველამ უნდა იცოდეს, ვინ არის სანათესაოს მტერი. როცა თურქეთის პრემიერი ულტიმატუმის ენით ლაპარაკობს ბათუმში მეჩეთის აგებაზე, ეს არის საქართველოს საშინაო საქმეში ჩარევა. ჩვენ ვფლობთ ინფორმაციას, რომ თურქეთის რესპუბლიკა აპირებს 800 მილიონი გამოყოს ბათუმში ბიზნესის ხელშესაწყობად. დღეს, როგორ მდგომარეობაშია ჩვენი მწერალთა კავშირის შენობა და ამ დროს წინა ხელისუფლების დროს 60 მილიონი დაიხარჯა (ვითომ ამდენი?) რაღაც უსახური ანბანის კოშკის ასაშენებლად, რომელიც თურქეთის სიმბოლიკა უფროა. კიდევ კარგი, არჩევნებში, დამარცხდნენ, თორემ ეს შენობაც გაყიდული იქნებოდა. ენა, მამული, სარწმუნოება, ეს სამი ცნება დაგვიტოვა, ილია ჭავჭავაძემ ანდერძად, რომ მოვუაროთ, მაგრამ ჩვენ ისე ვერ ვმოქმედებთ, როგორც ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება. ენის სიწმინდე უკიდურესობამდე, შებღალულია ამიტომ აუცილებლად უნდა აღდგეს ენის სიწმინდის პალატა. მეორე – მთავარი, ეს არის ათასჭირგამოვლილი მამული, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და შეინარჩუნა თვითმყოფადობა, დღეს თურქი, ინდოელი, ჩინელი, ვინ არ ყიდულობს ჩვენს მიწებს, ისედაც კატასტროფულ დღეშია ჩვენი გენოფონდი და როცა ისინი ჩვენთან მომძლავრდებიან და მომრავლდებიან, გიფიქრიათ, რა გველის? ქართველები აშკარად ეთნიკურ უმცირესობაში აღმოვჩნდებით, რაც უდავოდ, უბედურების მომასწავებელი იქნება ქართული სახელმწიფოსთვის...

ის, რაც დღეს აჭარაში ხდება, მთელი საქართველოს განსჯის საგანი უნდა იყოს, ამიტომაც, ჩვენ, აჭარაში მოღვაწე მწერლები, მივმართავთ სრულიად საქართველოს მწერლებს გამოგვეხმაურონ და დადგნენ ჩვენ გვერდით.

გამომსვლელთა აზრებსა და დასკვნებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა დამსწრე საზოგადოებამ.

ნანა ახალაძე,
ბათუმი

◎ როცა უთქმელობა არ ეგებების

„საზმაუწყებლის“ და „მაესტროს“ ორი „აღმოჩენა“

(მესამე ბოერდიდან) გოგა ხაჩიძის ბეუტური უფრო აინტერესებს „მაესტროს“ მაყურებელს, თუ სამართალმცოდნეობის აღიარებული მეტრის?! როცა ამგვარ თვალშისაცემ ხარვეზებს წამყვანებს არც პროდიუსერი უსწორებს, რომელიც მუდმივ კავშირშია მათთან, და **როცა ამგვარი „შეცდომები“ იშვიათი გამონაკლისი აღარაა „მაესტროს“ გადაცემებში, როცა „ნაცების“ მომხრეებს რევერანსებით ელაპარაკებიან და გაუთავებელი ლაქლაქის გაწყვეტასაც ვერ უბედავენ მათ, მაშინ, გინდა არ გინდა„მგონი „გაღუნა“ „მაესტრომო“, გაიფიქრებ კაცი!**

ზუსტად თქმა მიჭირს და, შესაძლოა, ვცდები კიდეც, მაგრამ ტელეარხის პოლიტიკაში გაღუნვის პროცესი მაშინ დაიწყო, როცა „მაესტრომ“ დიდი ხნის ნანატრი, მთელ საქართველოზე მაუწყებლობის ლიცენზია მიიღო და იგი არ გამოიყენა – მიზეზად ხან რემონტს ასახელებდა მამუკა ღლონტი და ხანაც – ფინანსურ პრობლემებს. ტელევიზიის ამ, ასე ვთქვათ, მცოცავ, შემპარავ გარდასახვას უკვე ძალიან ბევრი მაყურებელი ამჩნევს და არხის მუშაობით გამოწვეულ უკმაყოფილებას სულ უფრო ხშირად გამოთქვამს. ყველას კარგად მოეხსენება, რომ გადაცემების წამყვანები და ახალი ამბების ავტორები პირადი ინიციატივით კურსიდან ვერ გადაუხვევენ, ეს მათ ძვირად დაუჯდებათ!

ერთი რამ უდავოა, კვესიტაძისთანა ტუტუცი წამყვანი არ ყავს „მაესტროს“, თორემ, სხვა მხრივ, იგი ისეთნაირად „დაბალანსებული“(!) გახდა, რომ „ნაცების“ კონტროლქვეშ მომუშავე სამი ტელევიზიიდან ვეღარც კი გამოარჩევ!

უნდა შეწყდეს ბოლო პერიოდში ხელოვნურად წამოტივტივებული უვიცი, უზნეო და ტუტუცი ხალხისთვის ეთერის დათმობა. ბენზინგადასხმული თავდამწვარი ლტოლვილი ქალის ტრაგედიაზე ქეთი გაბიანის კომენტარის შემდეგ, მას გამარჯობას არ ეტყოდა პატიოსანი კაცი, ჩვენთან კი ასეთ ადამიანს ძალით გვატენიან ეკრანიდან! იგივე შეიძლება ითქვას „ექსპერტ“ ნიკა ჩიტაძეზე, რომელსაც თავში თარიღების მეტი არაფერი არ უყრია, „კმარელ“ პოლიციელ-იურისტ ონიანზე, „პუბლიცისტზე“, „პოლიტოლოგზე“ და კიდევ ბევრ სხვაზე.უნდა შევეშვათ დამნაშავეებთან და მათ მფარველებთან კეკლუცობას, არასამთავრობოების გულის მოსაგებად „ბალანსობანას“ თამაშს, ანუ „ტელეკოჰაბიტაციას“. ვაკეთოთ ის, რისი მოთხოვნილებაც საზოგადოების უდიდეს ნაწილშია, და რომელ მოთხოვნილებასაც, დღესდღეობით, მხოლოდ „ობიექტივი“ აკმაყოფილებს (ცნობისათვის, „კოჰაბიტაცია“ და „კოაბიტაცია“ ორივე ერთი ოხერია, მაგრამ მათი ტერმინოლოგიური სისწორე დამოკიდებულია იმაზე, თუ საიდან შემოვიდა ის ქართულში – ინგლისურიდან თუ ფრანგულ-იტალიურიდან. რომელ ენაზე მოლაპარაკეებმაც მოგვახვიეს თავს დამნაშავე „ნაცებთან“ კოჰაბიტაცია, ეს კარგადაა ცნობილი. ისე კი, ამ სიტყვის ფუძე (თანამედროვე ენებიდან) იტალიური „აბიტარე“ არის, და იგი საუკუნეების წინ შევიდა რუსულში, როგორც „обитать“, ცხოვრება).

აუცილებელია, „მაესტროს“ ხელმძღვანელობამ საზოგადოებაში გაჩენილ ეჭვებს, ვის ინტერესებს ემსახურება – „ნაცების“ თუ „ქართული ოცნების“, დროულად გასცეს პასუხი და, რაც მთავარია, ოპერატიულად შეიტანოს არსებითი კორექტივები, როგორც გადაცემებში, ისე – ახალი ამბების გაშუქებაში, ინგლისურენოვანი „ნიუსების“ ჩათვლით!

იაკობ ლეჭავა,
18 მარტი, 2013

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ აკადემია ხვალ

აკადემიკოსობის კანდიდატები:

თეიმურაზ ლეჟავა



თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გენეტიკის კათედრის გამგე. დაამთავრა თსუ-ის ბიოლოგიის ფაკულტეტი (1962 წ.); ასპირანტურის კურსი გაიარა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტსა და სამედიცინო აკადემიის მორფოლოგიის ინსტიტუტში (1963-67 წ.წ.); სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ქ. ლენინგრადში (1982 წ.).

1970 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ჩამოაყალიბა პირველი გენეტიკის ლაბორატორია, რომელსაც უძღვებოდა 1975 წლამდე. ამავე წლიდან დღემდე მუშაობს თსუ-ის გენეტიკის კათედრაზე, რომლის ბაზაზე 2011 წელს დააარსა პირველად საქართველოში გენეტიკის ინსტიტუტი.

თეიმურაზ ლეჟავა 123 გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორია, მათ შორისაა პუბლიკაციები Spinger-სა და Elsevier-ის იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში. 2006 წელს ნიუ-იორკში გამოვიდა მისი მონოგრაფია „ადამიანის ქრომოსომები და დაბერება“. პროფესორ თ. ლეჟავას ხელმძღვანელობით მომზადდა 19 საკანდიდატო და 2 სადოქტორო დისერტაცია. მას თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ქართველ გენეტიკოს-სპეციალისტთა აღზრდაში, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ საქართველოშიც და, პროფესორების რანგით, იაპონიის, აშშ-ის, ისრაელის, ესპანეთის, ინგლისისა და გერმანიის სამეცნიერო ცენტრებში. თ. ლეჟავას კალამს ეკუთვნის 5 სახელმძღვანელო — გენეტიკის განხრით პირველი ქართულენოვანი ორიგინალური სახელმძღვანელოები, მათ რიცხვში ახალი თაობისაც: „სამედიცინო გენეტიკა მოლეკულური გენეტიკის საფუძვლებით“ (თსუ-ის გამომცემლობა, 2011 წ.), რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. კითხულობს სალექციო კურსებს — გენეტიკა, უჯრედის გენეტიკა, გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია, უჯრედის ონტოგენეზი და გენეტიკა და სხვა.

5 გამარჯვებული საგრანტო პროექტის (აქედან 3 უცხოურის) ავტორი და ხელმძღვანელია, მიწვეული მონაწილეა დაბერების გენეტიკისა და გერონტოლოგიის თითქმის ყველა საერთაშორისო კონგრესისა თუ ყრილობისა, სადაც, როგორც მომხსენებელი, სექციებისა თუ სიმპოზიუმების თავმჯდომარე, დიდ პროპაგანდირებას უწევს ქართულ გენეტიკურ მეცნიერებას. დაჯილდოებულია ივანე ჯავახიშვილის მედლით, ღირსების ორდენითა და საერთაშორისო გერონტოლოგთა ასოციაციის „Sandoz prize“-ით გერონტოლოგიაში მნიშვნელოვანი შრომებისათვის.

ამ შრომებში მკვლევარმა შექმნა დაბერების გენეტიკური თეორია, რომლის დებულებები შეტანილია წამყვან ამერიკულ მეცნიერთა მიერ ქრომატინზე გაკეთებულ სამაგიდე რევიუში. საქართველოში გამოყენებული ციტოგენეტიკური და მოლეკულურ-ციტოგენეტიკური მეთოდები თ. ლეჟავასგან არის აპრობირებული და ჩვენში პირველად დანერგილია ადამიანის ქსოვილოვანი კულტურებიდან ქრომოსომული კულტურების მიღება, დნმ-ის არაგეგმიანი სინთეზის ხერხი, ქრომოსომათა რეპლიკაციის განსაზღვრა და სხვა. მის მიერ დაარსებულ თსუ-ის გენეტიკის ინსტიტუტში გამოიკვეთა ძირითადი სამეცნიერო მიმართულება — ქართული პოპულაციის გენომის შესწავლა ნორმასა და პათოლოგიების შემთხვევებში და შემდეგი კვლევითი ჭრილები: კლინიკური გენეტიკა (ხელმძღვანელი — პროფესორი თ. შაქარიშვილი); ფიზიკა-ქიმიური (ხელმძღვანელი — პროფესორი თ. აგლაძე); ზოგადი გენეტიკა (ხელმძღვანელი — პროფესორი თ. ლეჟავა).

ბოლო 3 წელიწადში (2010-2012) თ. ლეჟავამ 4 შრომა დაბეჭდა მაღალიმპაქტფაქტორიან ჟურნალებში; ამასთანავე, შარშან უცხოეთში დასტამბულ წიგნში დაბერების შესახებ მისი ავტორობით შევიდა შეკვეთილი 16-გვერდიანი თავი, მიძღვნილი თ. ლეჟავას მასწავლებლის ა. პროკოფიევა-ბელგოვსკაიასადმი (ამ ქალბატონმა 1962 წელს საბჭოთა კავშირში პირველი გენეტიკის ლაბორატორია შექმნა ლისენკოსმიერი დევნის პერიოდში!).

ცალკე უნდა ითქვას თ. ლეჟავას ხელმძღვანელობით დაარსებულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე „დაბერების ციტოგენეტიკა“, რომელიც 1972, 1984, 1989, 2008 წლებში თბილისში გაიმართა, ხოლო 1987 წელს — ხიროსიმაში.

ივნისის დასაწყისში აშშ-ში, ბოსტონში შედგება ბიოტექნოლოგიური კონგრესი 22 ნობელიანტის(!) მონაწილეობით, დღის წესრიგში შეტანილია თ. ლეჟავას 20-წუთიანი მოხსენებაც. ივნისშივე კორეაში ჩატარდება გერონტოლოგებისა და გერიტრების მსოფლიო კონგრესი, სადაც წარმოდგენილია მისი დაარსებული სიმპოზიუმი „ქრომოსომები და გენეტიკა“, რომელშიც, ქართველ მეცნიერებთან ერთად, ინგლისელები და იაპონელები მონაწილეობენ.

...გენეტიკა სადღეისოდ ბიოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი განხრაა, რომლის მსოფლიოში აღიარებული წამყვანი სპეციალისტია პროფესორი თეიმურაზ ლეჟავა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ის ღირსეულ კანდიდატად მიაჩნია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის) ვაკანსიაზე წარსადგენად ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში ბიოლოგიის სპეციალობით.

ლუკა გორგაძე

◎ ალიან-ჩალიანი

„თბილავიამშენი“ უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებისთვის იბრძვის

„თბილავიამშენის“ ყოფილი მესაკუთრეები სასამართლოს ქონების დაბრუნების მოთხოვნით მიმართავენ.

როგორც „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, მათ საადვოკატო დახმარებას საია გაუწევს. საია-ს თავმჯდომარის კახა კოჟორიძის ინფორმაციით, 2004 წელს „თამ თბილავიამშენის“ ყოფილმა აქციონერებმა და შპს „თბილავიამშენის“ პარტნიორებმა სახელმწიფოსგან 67 000 000 დოლარის ეკვივალენტი ლარში შეიძინეს „თამ თბილავიამშენის“ აქციათა 90%. კოჟორიძის ინფორმაციით, 2010 წელს განხორციელებული ზეწოლისა და დაშინების შედეგად მესაკუთრეები იძულებულები გახდნენ თავიანთი ქონება სახელმწიფოსთვის ეჩუქებინათ.

— 2010 წლის 19 ივნისს საწარმოში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლები შეივიდნენ და სასამართლოს ბრძანების საფუძველზე დოკუმენტები ამოიღეს. კანონის მოთხოვნის მიუხედავად, არ შედგენილა ამოღების ოქმები და დოკუმენტაცია მხოლოდ მას შემდეგ დააბრუნეს, რაც აქციონერებმა ქონება სახელმწიფოს აჩუქეს, — განმარტა კოჟორიძემ.

მისივე თქმით, 2010 წლის 26 ივნისს კომპანიის დირექტორი და ყველაზე მსხვილი პარტნიორი, პანტიკო თორდია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაიბარეს, სადაც მას ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილება წარუდგინეს.

— მასზე რამდენიმე საათის განმავლობაში ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ, ხოლო ბოლოს მოსთხოვეს საწარმო სახელმწიფოსთვის ეჩუქებინა. პანტიკო თორდია იძულებული გახდა დათანხმებოდა ამ მოთხოვნას, რის შემდეგაც ბრალდებულის სახით მისი პასუხისგებაში მიცემის დადგენილებას რაიმე სახის სამართლებრივი გაგრძელება აღარ მოჰყოლია, — განმარტა კოჟორიძემ და დასძინა, რომ ამის შემდეგ დანარჩენი აქციონერების მხრიდან „ჯგუფური ქველმოქმედება“ განხორციელდა და 24-მა აქციონერმა თავიანთი საკუთრება უსასყიდლოდ სახელმწიფოს გადასცა.

საია-ში გამართულ პრესკონფერენციას „თბილავიამშენის“ 20-მდე ყოფილი მესაკუთრე ესწრებოდა. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ერთ-ერთმა ყოფილმა მესაკუთრემ კახაბერ ჟღენტმა განმარტა, აქციონერების მიმართ ზეწოლაში მთელი სახელმწიფო მანქანა იყო ჩართული, მათ შორის ფინანსური პოლიციისა და იუსტიციის სამინისტროს სახით.

ყოფილი მესაკუთრეები საჯარო რეესტრის მხრიდან პრობლემების შექმნაზეც საუბრობენ. მათი თქმით, საჯარო რეესტრი თვეების განმავლობაში საკუთრების უფლების დამადასტურებელ ამონაწერს არ გასცემდა, იმისდა მიუხედავად, რომ დოკუმენტის გაცემას ერთი დღე სჭირდებოდა.

— მას შემდეგ, რაც ამონაწერის აღება სახელმწიფოს ინტერესი გახდა, რათა წილის დათმობაზე სანოტარო აქტი მომზადებულიყო, საჯარო რეესტრმა ამონაწერი 5 წუთში ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოამზადა, არასამუშაო კვირა დღეს. იმავე დღეს თბილავიამშენის პარტნიორებს მოაწერინეს ხელი წილის უსასყიდლოდ დათმობის გარიგებაზე, — განმარტა კოჟორიძემ.

საია-ს მტკიცებით, დღეისთვის უკანონობის გამოსწორების მარტივი შესაძლებლობა არსებობს, რადგან ქონება ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაში იმყოფება. როგორც იურისტები განმარტავენ, საჭირო მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების კეთილი ნება, რადგან მოცემულ შემთხვევაში ქონების დაბრუნება, იურისტების შეფასებით, სამართლებრივი თვალსაზრისით არის ისეთივე მარტივი, როგორც ტელეკომპანია „იმედის“ შემთხვევაში მოხდა.

ხადური მზადაა, თავდაცვის სამინისტროს დამატებითი თანხები გამოუყოს

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით, ჯარის ინფრასტრუქტურის კუთხით მდგომარეობა სავალალოა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ფინანსთა მინისტრმა მთავრობის სხდომის დაწყებამდე თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადების კომენტირებისას განაცხადა, რომლის მიხედვითაც, მას აქვს კონსულტაციები ფინანსთა მინისტრთან და პრემიერ-მინისტრთან, რათა ინფრასტრუქტურული პროგრამების განსახორციელებლად სამინისტროს დამატებითი თანხები გამოეყოს.

— მე ვიყავი ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე და კიდევ ვაპირებ სხვაგანაც წავიდე. მდგომარეობა არის სავალალო. ის თანხები, რომელიც აქამდე იყო დახარჯული —თითქმის 8 მილიარდი ლარი არის გადაყრილი და მხოლოდ ფასადებს მოხმარდა. არის მნიშვნელოვანი პრობლემები ჯარისკაცების საყოფაცხოვრებო და სასწავლო პირობებთან დაკავშირებით, — განაცხადა ნოდარ ხადურმა. მისი თქმით, ამ თემაზე მიმდინარეობს მუშაობა და დღეს მას გაუჭირდება კონკრეტული მონაცემები დაასახელოს, თუმცა, აღნიშნა, რომ საუბარია რამდენიმე ათეულ მილიონ ლარზე, რის შედეგადაც ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდება ჯარში სიტუაცია.

რუსეთი ქართულ-ამერიკული სამხედრო წვრთნებით შეშფოთებულია

ამის შესახებ რუსულ მედიასთან საუბარში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ლუკაშევიჩმა განაცხადა.

— ეს ყოველწლიური ღონისძიება, რომელსაც ჩვენი ამერიკელი პარტნიორები „ავღანეთის ოპერაციისთვის მზადებით“ ხსნიან, ნამდვილად იწვევს ჩვენს შეშფოთებას. საქართველომ, როგორც ცნობილია, 2008 წელს საომარი კონფლიქტი გააღვივა, დღეს კი კატეგორიული წინააღმდეგია ახალ პოლიტიკურ რეალობას შეეგუოს. მივიჩნევთ, რომ ნებისმიერი სამხედრო წვრთნა საქართველოში, რითაც არ უნდა იყოს მოტივირებული, რეგიონში სტაბილურობის და მშვიდობის პერსპექტივებს ართულებს, — განაცხადა ლუკაშევიჩმა. როგორც ცნობილია, ვაზიანში ქართულ-ამერიკული სწავლება მიმდინარეობს, რომელიც 29 მარტს დასრულდება.

ინტერპრესი

◎ ცრუგაჭირვებულნი

„ტოიოტით“ მოგრიალენი უმწეოთა დახმარებებს იღებდნენ

ცოტა ხნის წინათ ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტომ 17 ათასზე მეტ ოჯახს სოციალური დახმარებები (შემწეობები) შეუჩერა ან შეუწყვიტა. ამას უმალ მოჰყვა ნაციონალური მოძრაობის ჩვეული რიტორიკა და კრიტიკა (ამის თაობაზე ჩვენი გაზეთი აქამდეც წერდა).

ამასთან დაკავშირებით, კომენტარი გააკეთა სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელმა ნოე ქინქლაძემ, მისი განმარტებით, შეჩერება-შეწყვეტის მიზეზი გახდა სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევები, რომლის დროსაც გამოითხოვეს ინფორმაციები შსს-ს მომსახურების და შემოსავლების სამსახურებიდან და საჯარო რეესტრიდან. გადაწყვეტილებები ინფორმაციების შედარების შედეგად მიიღეს.

ქინქლაძის განმარტებით, 9 ათასზე მეტ „უმწეოს“ წელიწადში 5-50 ათასამდე შემოსავალი დაუფიქსირდა. „გაჭირვებულთა შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთა კუთვნილებაში „ტოიოტა“ და სხვა ძვირადღირებული ავტომობილებია. გაირკვა ისიც, რომ ბენეფიციართა სიაში ისეთი პიროვნებაცაა, რომელიც ათი ბინის იპოთეკარია.

მიღებული ინფორმაციით დადგინდა, რომ 50 ათას ლარზე მეტი წლიური შემოსავალი აქვს 32 ოჯახს. 40-50 ათას ლარამდე შემოსავალი — 31 ოჯახს, 20-40-მდე შემოსავალი — 392 ოჯახს, 10-20 ათასამდე — 2363-ს, ხოლო 5-დან 10 ათასამდე შემოსავალი — 6147 ოჯახს. სააგენტოს უფროსმა ისიც განაცხადა, რომ სოციალურად დაუცველთა ბაზაში უმწეოთა რაოდენობის ზრდა შარშანდელ არჩევნებს უკავშირდებოდა. ეს მაჩვენებლები და დარღვევები შესასწავლად გადაეცათ შესაბამის ორგანოებს.

კვლევების დროს სხვა სახის დარღვევებიც გამოიკვეთა. კერძოდ, შემოსავლების სამსახურის მონაცემები რეალურად არ ემთხვევა მოქალაქეთა შემოსავლებს. ეს ფაქტებიც შესასწავლად სამართალდამცავებს გადაეგზავნათ.

ამ სფეროში სერიოზული დარღვევები და საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი ხარჯვა სიახლე არ არის. 2 წლის წინათ მსგავსი დარღვევები კონტროლის პალატამაც აღმოაჩინა. მაშინ დაზღვეული იყო სოციალური მომსახურების 91 თანამშრომელი, რაშიც ბიუჯეტიდან გაიცა 109900 ლარი. „გაჭირვებულთა“ სიაში მოხვდა 17700 გარდაცვლილი ან მოქალაქეობიდან გასული პირი, რაზეც ჯამში გაიცა 3700 ათასი ლარი. 3743 მოქალაქის ჩანაწერი გაორებული აღმოჩნდა, რაზეც ბიუჯეტიდან დამატებით გაიცა 145200 ლარი. უმწეოთა დაზღვევის გარდა, შეღავათებს თავდაცვის სამინისტროში ღებულობდა 3183 პირი. ასევე დაზღვევებს ღებულობდნენ პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის, თბილისის მერისა და მუნიციპალიტეტის, ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული სტრუქტურების თანამშრომლები.

როგორც ირკვევა, „ნაცებსაც“ ბლომად ჰყოლიათ თავიანთ რიგებში „უმწეოები“, „გაჭირვებულები“ და „შეჭირვებულები“.

ზაზა ბილიხოძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პოეტის სიტყვა პოეტზე

ცოტა რამ თავისი დროის ქართა-აღმწერლის შესახებ

„რის, რის მოწმენი ვიყავით ჩვენ!“
პუშკინი

1.

რუსმა პოეტმა, ჟურნალ **„ნაშ სოვრემენნიკის“** მთავარმა რედაქტორმა **სტანისლავ კუნიაევმა** მისახსოვრა თავისი ნაწერების **(„პოეზია, ბედი, რუსეთი“)** სამტომეული.

„ღამეა, მიხვალ, მთვარე ანათებს. სიწყნარეა. მიხვალ და მიგაქვს თავმოკრული ქისა. ციხის კედლებთან დაგათენდება. რიგში დგები. ტევა არ არის. ისმის ქვითინი. არავინ არაფერი არ იცის. არ იცის და არავინ ხმას არ იღებს“...

და იქვე:

„იქნებ მე სწორედ იმიტომ გავჩნდი ამ ქვეყანაზე, რათა ეს ყველაფერი გამეაზრებინა...“

გააზრება იწყება წარსულიდან, ბავშვობიდან, მშობლების გარდაცვალებიდან.

„საფლავში ჯვარს არ ატანდნენ“.

პოეტი იგონებს დიდი ომიანობის წლებს, ლენინგრადის ბლოკადას.

„ვიღაც უცნობმა მამაკაცმა ვაგონში შემჩურთა“.

დრო მიდის. წელს წელი მისდევს. იგი (ავტორი) სკოლის მოსწავლეა. 1952 წელია. ის უკვე სტუდენტია.

პროფესორი ბონდი ეკითხება სტუდენტობას:

„კაპიტნის ქალიშვილი“ თუ წაიკითხეთ?

– წავიკითხეთ.

– როგორ გგონიათ, პუგაჩოვი პატრიოტია?

– პატრიოტია.

– კაპიტანი მირონოვიც პატრიოტია?

– პატრიოტია.

– თუკი ასეა, რატომ ჩამოახრჩო ერთმა პატრიოტმა მეორე პატრიოტი? აი, როცა ამ შეკითხვას უპასუხებთ, მაშინ დაგერქმევათ ფილოლოგები“.

ეს სცენა მთელი ჩემი ცხოვრება თან დამყვებაო, წერს სტ.კუნიაევი.

2.

„სამტომეული“ გვესაუბრება თანამედროვე რუსეთზე, რუს პოეტებსა და პროზაიკოსებზე. რუსულენოვან მწერლებზე, მწერალთა კავშირზე და მწერალთა კავშირის მესვეურებზე, გამომცემლობებზე და გამომცემლობის თანამშრომლებზე, სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებზე და მათ რედაქტორებზე...

ხშირ-ხშირად ამახვილებს ავტორი მკითხველის ყურადღებას რუსი და ებრაელი მწერლების ურთიერთობაზე.

სამაგალითოდ:

„ებრაელი ფულისთვის (მოგებისთვის) ყველაფერზე წავა, ყველაფერს ჩაიდენს, კეთილ საქმესაც კი...“

მე შემიძლია ჩვენს ებრაელებზე, ქართველ ებრაელებზე ვილაპარაკო, რუს ებრაელებზე კი რა უნდა ვთქვა.

ადრეც მითქვამს, რუსულ ენას, ქართულისგან განსხვავებით, არაიშვიათად მოსდის ავარია.

„Пойди ты прочь, ты мне не сын,
Ты трус, ты раб, ты Армянин!“

ასე ამბობს უპირველესი რუსი მესიტყვე.

სტ.კუნიაევი:

„ერთსა და იმავე დროს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ახმატოვა, სელვინსკი, ტვარდოვსკი, კირსანოვი, სმელიაკოვი, ბეზიმენსკი, ზაბოლოცკი, უტკინი. ყველა ამათგანი დიდად პოპულარული იყო. ყველა ამათგანს ლიტერატურის კრიტიკოსები უწინასწარმეტყველებდნენ ბრწყინვალე მომავალს. მაგრამ გავიდა დრო და ხანი და გაიყო მათი გზები, სხვადასხვა მხარეს წავიდნენ მათი ლიანდაგები, და აქამომდე უფრო და უფრო შორდებიან ერთმანეთს“.

ზოგიერთი პოეტის შემოქმედება უფრო ადრე კვდება, ვიდრე მისი შემოქმედი.

ზოგიერთი პოეტის შემოქმედება პოეტთან ერთად კვდება.

ზოგიერთი პოეტის შემოქმედება შემოქმედის გარდაცვალების შემდეგ ცოცხლდება.

3.

„სამტომეულში“, როგორც აღვნიშნე, მრავალი ჩვენთვის ნაცნობ და ჩვენთვის უცნობ მესიტყვეებზეა საუბარი, მაგრამ ავტორი, უმთავრესად იმ ხუთეულის ირგვლივ ტრიალებს, რომელთა სიახლოვეს გაატარა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება. ესენი არიან: ვ.ბელოვი, ვ.რასპუტინი, ნ.ჩუბცოვი, ა.პერედრეევი, ი.კუზნეცოვი. ეს წიგნები სავსეა ამათი გამონათქვამებით, ლექსებით, წერილებით.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მე პერედელკინოს შემოქმედებით სახლში მომიწია ყოფნა (თითქმის მთელი ხუთი წელიწადი), ახლო ურთიერთობა მქონდა ბატონ სტანისლავთან (სხვათა შორის, მან გამოაქვეყნა თავის ჟურნალში ჩემი და ვ.რასპუტინის დიალოგი და ჩემი ლექსებიც).

რა მინდა ვთქვა?

სტ.კუნიაევი კარგად იცნობს საქართველოს, ახსოვს საქართველო, უყვარს საქართველო, ემეგობრება არაერთ ქართველ მწერალს, თარგმნილი აქვს არაერთი ქართველი მწერლის ნაწარმოები (ლექსები, პოემები, აკაკის „გამზრდელი“), გამორჩევით მეგობრობდა ცხონებულ შოთა ნიშნიანიძესთან.იმისი გარდაცვალება რომ გაიგო, პოეტის მოსახსენიებელი არაჩვეულებრივი სუფრა გააწყო, და, არც მეტი, არც ნაკლები, ალალი ცრემლით გამოიტირა ძველი მეგობარი. და ეს ყველაფერი, ერთგვარად, ხელს მიხსნის, რათა მის კვალობაზე მეც გულღიად ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ, და რასაც ჩემი გაგებით, იგი არ მიწყენს, რადგან სიმართლე მისი ცხოვრებისა და შემოქმედების თავი და თავია.

4.

წერილები ვახსენე.

აი, ერთ-ერთი წერილის შინამო:

ა.პერედრეევი გათუმიდან უგზავნის წერილს თავის მეგობარს სტ.კუნიაევს:

„ბათუმი მშვენიერია, მაგრამ არ იცი, აქ რა გააკეთო, ბერიკაცი, მგონი, ჭკუაზე არაა, არავითარი ოქროს საწმისი. ხალვაში ისე მიყურებს, თითქოს იგი პრომეთეოსი იყოს, მე კი არწივი, სხეულს რომ ვუკორტნი... ყელში ამომივიდა აქაური პროვინციალიზმი და თავმომაბეზრებელი სტუმართმოყვარეობა.

ბათუმში ერთადერთი ნამდვილად ნიჭიერი პოეტი გავიცანი – ლადო სეიდიშვილი. და ისიც გამუდმებით „ჟამი-ჟამიო“ ფრანგულად უქცევს...“

ამ მცირე წერილში არაერთი შეცდომაა გაპარული **(„ერთადერთი შეცდომა შეცდომის გამეორებაა“, კონფუცი).**

ეს გახლავთ ენისეული ავარიის ნიმუში. ავარია კი, როგორც ცნობილია, უფრო ხშირად, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ მძღოლებს მოსდით. მით უმეტეს, თუკი მძღოლი გადამბულად ლოთობს.

„წრიალებს ქარი, როგორც მთვრალი პერედრეევი“ (ი.მოგუტინი).

ახლა მოვუსმინოთ ჩვენებურ მესიტყვეს, ცხონებულ ფრიდონ ხალვაშს:

„პერედრეევი არაჩვეულებრივი პოეტია. ჩემი სტუმარი იყო. ჩვენი პოეტები უნდა ეთარგმნა. სვამდა. ჩავკეტე ოთახში. ღვინო-არაყი გამოვაცალე. მაგრამ რა! შეაყარე კედელს ცერცვი! თურმე სადა ხარ! თოკი დაგრიხა, მიაბა ერთმანეთს ათასგვარი ჭინჭი, გაყო თავი მეხუთე სართულის ფანჯრიდან, ჩაუშვა ჭურჭელი და ფული, და შეევედრა შემთხვევით გამვლელს, სასმელი რომ ეყიდა. თავისებური კაცი იყო. უცნაური ხასიათის მქონე, მაგრამ ნამდვილი პოეტი“.

ქართული და რუსული სუფრა, ძვირფასო სტანისლავ, შენ არ გესწავლება, ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება. ლოთს თავი არა აქვს, მოუცადოს და მოუსმინოს სუფრის თამადას, მიჰყვეს წეს-ადათს, დრო არ ეყოფა. არაყი მისატანებელს თითქმის არ საჭიროებს. რაც ღვინოზე არ ითქმის.

„ღვინო ამხიარულებს, არაყი – აბრაზებს“, ამბობს ჩვენი მწერალი-პატრიარქი – ჭაბუა ამირეჯიბი, რომლის გაგონებაც ყველასთვის ხელსაყრელია.

ბატონ ფრიდონ ხალვაშზე კი რა უნდა ითქვას?

ფრიდონი გახლდათ უპატიოსნესი პოეტი და პიროვნება. არა პრომეთეოსი, არამედ ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი პოეტი.

„თავმომაბეზრებელი სტუმართმოყვარეობაო“.

„ბათუმში ერთადერთი ნამდვილი პოეტი გავიცანიო“.

არც ეგაა მართალი.

ბათუმში, როცა პერედრეევი იქ იმყოფებოდა, ფრიდონ ხალვაშზე რომ არაფერი ვთქვათ, ცხოვრობდნენ არაჩვეულებრივი პოეტები – ზურაბ გორგილაძე და შოთა ზოიძე, ლადო სეიდიშვილიც მართლა განათლებული პოეტი გახლდათ, მაგრამ ხალვაშზე, გორგილაძეზე და ზოიძეზე არააღმატებული.

და კიდევ:

„არავითარი ოქროს საწმისიო“.

ოქროს საწმისი, ცხონებულ პერედრეევს ბათუმში კი არ უნდა მოეძია, არამედ ქუთაისსა და ფოთში. უნდა გადაეკითხა ძველი ბერძენი მეისტორიეები და პოეტები, თუნდაც მხოლოდ ევრიპიდეს **„მედეა“,** არაფერი რომ არ ვთქვათ **„არგონავტებზე“.**

მაგრამ შეუმცდარი ვინაა, პერედრეევი რომ ყოფილიყო. ამიტომაც, ნუ გვიწყენს ცხონებული პოეტი და წერილის ეს მონაკვეთი გავასრულოთ ვ.კოჟინოვის სიტყვებით:

„ა.პერედრეევი ერთ-ერთი ნამდვილი და ღრმა პოეტია ჩვენს თანამედროვეობაში“.

5.

ერთ-ერთმა მკითხველმა, ქალაქ ორიოლიდან, სტ.კუნიაევს წერილი გამოუგზავნა, სადაც ერთმანეთს დაუახლოვა ვისოცკი და რუბცოვი, ორივე მათგანი ერთი დონისანი არიანო, ერთნაირად ნიჭიერნი და ერთნაირი ბედისანიო. რის შესახებაც, ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა მკითხველს ასეთი წერილი მისწერა:

„თქვენ ერთმანეთს უახლოებთ ორ სხვადასხვა შემოქმედს და მათ ბედისწერას.

ერთ მათგანს ყველაფერი გააჩნია: თაყვანისმცემელი, თეატრი, კინო, პრესა, სცენა, „მერსედესი“, ვიზა, პარიზი, ამერიკა, ტაიტის აგარაკი, ფული, რეპორტიორი, ნარკომანი გულშემატკივარი, ვაგანკოვოს სასაფლაოს მომკითხავები: ეფროსები, ვოზნესენსკები, რიაზანოვები, ლიუბიმოვები, შემიაკინები, ვლადი – მოკლედ, მთელი დასავლური ორიენტაციის მიმდევარი და მოყვარული კლანი.

მეორე მათგანს არაფერი არ გააჩნია, ანუ აქვს: ობლობა, უპატრონო ბავშვთა სახლი, მარტოობა, უსახსრობა, კიროვის ქარხანა, მოძველებული გარმონი, უმეგობრობა, ლექსების ფარატინა კრებული, უსახლკარობა, ვოლოგდის მიგდებული სასაფლაო და წარწერა: „თავს, თავს მიხედე, ჩემო რუსეთო!“

ასე რომ, არავითარი საერთო მათ არ აქვთ“.

სხვათა შორის:

ბულატ ოკუჯავა რომ გარდაიცვალა, გამოიცა (რუსულენოვანმა მწერლებმა გამოსცეს) ერთდროული გაზეთი **„ბულატ-ოკუჯავა“,** მთელი 64 გვერდის მოცულობით, სადაც პოეტი გათანაბრებულია პუშკინთან, მოცარტთან, ქრისტესთან, მოსესთან **(„ბულატიც ხომ უკიდებდა ცოტათი ენას“),** რის შესახებაც „ლიტ. საქართველოში“ გამოვაქვეყნე წერილი, რაზედაც დაუყოვნებლივ მიპასუხა ცხონებულმა ალექსანდრე გახარიამ, ბულატის ახალგაზრდობის დროინდელმა მეგობარმა და მისაყვედურა, გენიალური პოეტის (ოკუჯავას) გვერდით რომ ვახსენე ვიღაც რუბცოვი, რაზედაც მე ისევ მომიწია მცირე წერილის გამოქვეყნება, რომლის შემდგომაც ჩემმა ოპონენტმა დუმილი არჩია.

6.

სტ.კუნიაევის „სამტომეული“ სავსეა რუსული გუნების პეიზაჟებით, უბრალო რუსი ადამიანების პორტრეტებით.

„მე ვეუბნები: იწექი, თავი არ წამოსწიო, მოგკლავენ!“, მერე მან ასანთი მთხოვა. გააჩაღა წეკო და ცხვირი თოვლში ჩარგო. მორჩა! მედალიონი ავხსენი“.

რატომ უნდა გაეცხადებინა „სამტომეულის“ ავტორისთვის ნაფრონტალ კაცს ის, რაც ჩაიდინა, მაგრამ გააცხადა. არავინ ენაზე არ ექაჩებოდა, ცხადია, მაგრამ გააცხადა. არ დამალა. თავისი სინდისის წინაშე რომ ყოფილიყო მართალი.

საქართველოსთან (ქართველებთან) დაკავშირებით, სტ.კუნიაევს მოაქვს ვ.რასპუტინის გამონათქვამი:

„ჩვენ, თუმცა, ცალ-ცალკე ოთახებში ვცხოვრობთ, ერთი სახლის მობინადრენი ვართ და ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია, ისაუბროს ამა თუ იმ სართულის მოუწყობლობაზე, სახლი ხომ ერთი გვაქვს“.

ფართო გაგებით, რუსი მესიტყვის ამ გამონათქვამში არა მარტო რუსთა და ქართველთა ურთიერთობები იკითხება, არამედ, მთელი ჩვენი საერთო დედამიწის ავანჩავანიც. მსგავსი შინაარსის მომცველია რასპუტინის შესანიშნავი მოთხრობა „ქოხი“, რაც ჩვენი პლანეტის ეპითეტადაც მოიაზრება.

კიდევ მრავალგზის იხსენებს სტ.კუნიაევი „სამტომეულის“ სივრცეზე საქართველოსა და ქართველებს.

„ქართული მრავალხმიანი სიმღერების მოსმენა შეიძლება გამუდმებით: **„ლილე“, „გაფრინდი, შავო მერცხალო“, „ჩაკრულო“, „შენ ხარ ვენახი“.**

სასწაულია ქართული სიმღერა, საოცარია ყველა მათგანი. რარიგად გამოიტანეს დროთა ქარტეხილებში და რარიგად შემოინახეს ეს ჯადოსნური ჰანგები ათასწლეულების მანძილზე ქართველებმა... ამიტომ იზიდავდა ქართული ბუნება და ნიადაგი პუშკინსა და ლერმონტოვს, გრიბოედოვსა და ესენინს, ზაბოლოცკისა და პასტერნაკს. დაუვიწყარია ქართველი გენერლების გმირობა-სიმამაცე, ბაგრატიონის, იაშვილის, ფანჩულიძის... ქართველი ოფიცრების, ქართველი ჯარისკაცების...“

ს.ჩიქოვანი:

„ძვირფასო სტანისლავ, წავიკითხე (მივიღე) შენი თარგმანები. შესანიშნავია. მადლობას გწირავ“.

თბილისში მივემგზავრები-მეთქი, ვუთხარი როგორღაც.

„ჩემი თაყვანი და სალამი სვეტიცხოველსა და რუსთაველის პროსპექტს“, – დამაბარა.

ახლა ის დროა, სამგზავრო თანხა მოვიძიო და შინისკენ გავეშურო.

მურმან ჯგუბურია
პერედელკინო,
2012 წ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პოეზია

მიხეილ ქვლივიძე

რამდენიმე ლექსი „100 ლექსიდან“

„ინტელექტმა“ თავისი ფრიად მოსაწონი პროექტისდა მიხედვით გამოსცა თვალსაჩინო ქართველი პოეტის **მიხეილ ქვლივიძის** „100 ლექსი“, შედგენილი პოეტის მეუღლის **მედეა შალამბერიძის** მიერ (საგამომცემლო პროექტის ავტორია **კახმეგ კუდავა**).
„კვირაძალის მკითხველს“ ამ კრებულიდან ვთავაზობთ პოეტის რამდენიმე ლექსს.

არსაკიძის ეპიტაფია

მონა იყო. ბევრი ჰყავდა მონას მტერი
(მატიანე ამას დაემოწმება).
ხელის გულზე აიშენა მონასტერი –
სამშობლოზე ერთი მუჭა ოცნება.

მონა იყო. შთაგონების მონა იყო.
მტერთა შორის დაეძებდა მოკეთეს...
მას უნდოდა სამშობლოში მომკვდარიყო, –
სამშობლოში მას მარჯვენა მოჰკვეთეს!

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს...

გიორგი შავგულიძის ხსოვნას

რამდენი ჩვენი წასული კაცის
ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს,
მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც –
კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს.

ჩვენ მას შორიდან ვიცნობდით მხოლოდ,
ვნატრობდით მასთან ქუჩაში გავლას,
მან კი გულები დაგვწყვიტა ბოლოს –
კაცმა, რომელიც დააკლდა ქალაქს.

მისი დაკარგვის მწარეა განცდა
(ვერ ამოვავსებთ ცარიელ ალაგს),
რადგან ვერც ერთი ვერ მოვალთ მასთან –
კაცთან, რომელიც დააკლდა ქალაქს.

და ახლა, როცა სუფრაზე, სადმე,
თვალს მოვკრავთ ღიმილს – ნაცნობს და ალალს,
წარმოგვიდგება ძვირფასი სახე
კაცის, რომელიც დააკლდა ქალაქს...

და თითქოს ვითვლით – ისევ და ისევ
გულში დაგროვილ სიკეთის მარაგს,
და ღმერთს ვთხოვთ: ღმერთო, გვაცხოვრე ისე,
რომ ჩვენც ოდესმე დავაკლდეთ ქალაქს!

მაგალითები

ისტორია სავსეა, როგორც მარგალიტებით,
„სანიმუშო“, „ლამაზი“, „კარგი“ მაგალითებით:
ამან – იმას, იმან – ამას,
იმან – ეს და ამან ის...
ძმამ ძმა მოკლა და მავანი მტერი გახდა მავანის.
ამას რაღაც დააბრალეს, უფლებები აჰყარეს,
იმას შანთი გაუყარეს და თვალები დათხარეს;
ერთმა თურმე იმოდენა იშრომა და იღვაწა,
რომ „შემთხვევით“, „უნებლიედ“ შემოაკვდა ვიღაცა,
მოიშორა თავიდან და რაკი გზა გაიხიდა, –
იმ ვიღაცის კარ-მიდამო სხვა ვიღაცას მიჰყიდა:
მიჰყიდა და ამის შემდეგ, მედროვემ
და თაღლითმა, –
მუშტარი რომ დაიგულა, საქართველოც გაყიდა!..

რა დრო იყო, ღმერთო ჩემო, არ ცხრებოდა მაცდური,
ცუდ საქმეებს ხმარდებოდა ნიჭი არაკაცური.

მაგალითი ბევრი არის,
ცოდვა-ბრალი დიდია...

მე რომ ვწუხვარ ამის გამო,
შენ რომ წუხხარ ამის გამო, –
ესეც მაგალითია.

ჩემი საწუხარი

ადრე წიგნებს ვკითხულობდით
ჩვენი სულის მარჩენალს,
„ჯაყოს ხიზნებს“, „გველის პერანგს“,
„დიდოსტატის მარჯვენას“.
კაზმულ სიტყვის მადლი გვეცხო
შუბლზე, როგორც მირონი,
და სუყველას სასთუმალთან
გვედო გალაკტიონი...

ახლა წიგნი ვიღას ახსოვს,
დრო დაგვიდგა ასეთი,
საქართველოს დროშასავით
ხელთ გვიჭირავს გაზეთი.
ვიკვებებით ყოველდღიურ
ჭორებით და ფაქტებით
და თანდათან განათლებულ
საქართველოს ვაკლდებით.

* * *

ეს რუსთაველის პროსპექტია... (ღმერთო, შეგცოდე!)
სადაც ქართველებს
ქართველები ტყვიას ესროდნენ
და არნახული შთაგონებით და გამეტებით
შენობებს რთავდნენ სატანური ორნამენტებით!..
აგერ ეს ძეგლიც... ისიც ტყვიით გახვრეტილია:
აქ რუსთაველზე,
ხელმეორედ მოკლეს ილია!

თბილისური ელეგია

ვუძღვნი თემიკო ჩირგაძეს

ნაწვიმარია მთაწმინდაზე, თეთრი ნისლი წევს.
ჯერ არ გამშრალა ქვაფენილზე სველი ლაქები...
ქუჩაში მიდის მამაჩემი გოგი ქვლივიძე,
ერთ დროს ცნობილი ინჟინერი და ქალაქელი.

მას ძველმოდური, გაცრეცილი პალტო აცვია,
ჭაღარა თავზე ქალაქური „კარტუზი“ ხურავს.
მიდის ქუჩაში მარტოხელა ბერიკაცი და
ჰგავს უცხო სახლში ალალბედად მოხვედრილ
სტუმარს!

მახსოვს, მოსკოვში გამოგზავნილ წერილში მწერდა:
„ვერრა გავუგე ვერაფერი ახალ ცხოვრებას.
გადავიღალე ჭიდაობით ავბედით წლებთან
და ვგრძნობ აშკარად დასასრულის მოახლოებას.

თბილისში ვცხოვრობ და ქალაქურ ადათ-წესს
ვნატრობ
და აღარ მესმის: ვინ ვინ არის ან მე ვინა ვარ?
გუშინ მთელი დღე რუსთაველზე ვიდექი მარტო
და იცი, ერთმა ნაცნობმა არ გამოიარა!

ეტყობა, ჩემი დრო წასულა, არ ვარ საჭირო,
უკანასკნელი ქალაქს შევრჩი, როგორც მძევალი,
და მის ქუჩებში დღეს რომ სადმე ფეხი გავჭიმო,
კაცი არ იტყვის: ეს ხომ გოგი ქვლივიძე არი?!

არადა, შვილო, ნუ ჩამითვლი ამ სიტყვებს კვეხნად:
დრო იყო ქალაქს ამშვენებდა ჩემი კაცობა!“
.....
მამაჩემივით
რუსთაველზე
მე ვდგავარ ახლა
და ვუცდი იქნებ გაიაროს ვინმე ნაცნობმა.

* * *

როცა მოვკვდები, შვილო, და დამაყრიან მიწას,
და მიჩუმდება ხმები სამგლოვიარო მარშის,
შენ ჩემს საფლავთან მოსვლა დაგეზარება ხშირად
ანდა საშური საქმე გამოგიჩნდება მაშინ...

არ გსაყვედურობ ამას, ახლაც ვიცი და მჯერა,
არ დამივიწყებ, მაგრამ ორომტრიალში დღეთა
თუ ჩემს საფლავთან მოსვლა დაგაგვიანდეს, ზოგჯერ
სიზმარში მაინც მნახე, რომ ვიყოთ ისევ ერთად.

◎ კინო

მოკლემეტრაჟიანიც, ძველი ეპოქალურიც...

ლიტერატურის მუზეუმში კავკასიური ფილმების მეორე ფესტივალი გაიხსნა

გუშინ, 22 მარტს, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში კავკასიური ფილმების მეორე ფესტივალი გაიხსნა.

ფესტივალის გახსნაზე წარმოადგინეს სერგო ფარაჯანოვის ფილმი „Ashik Kerib“ ქართულად, ინგლისური სუბტიტრებით.

ფესტივალის პროგრამაში საყურადღებო ფილმებია შერჩეული: ეროვნული არქივის საბჭოთა პროპაგანდისტული ფილმები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე, 2011-2012 წლების მოკლემეტრაჟიანი ფილმები კავკასიიდან და ძველი ეპოქალური ფილმები რეგიონიდან.

ფესტივალის ფარგლებში ასევე ნაჩვენები იქნება: „სამხრეთ ოსეთი, 1930-1950“ რუსულად, ინგლისური სუბტიტრებით; „ყაზბეგის მფრინავი ქალი“ – ინეკე სმიტი, გერმანულად, ინგლისური სუბტიტრებით; „ბუდე“ – ემინ ეფინდიევი, აზერბაიჯანულად, ინგლისური სუბტიტრებით; „Por Una Cabeza“ იმაილ იმანოვი, რუსულად, ინგლისური სუბტიტრებით; „ხურო, რომელიც შვილს ელოდება“ – ნერინეჰ მალუანი, სომხურად, რუსულ/ინგლისური სუბტიტრებით; „დედა“ – ნანა ექვთიმიშვილი, ქართულად, ინგლისური სუბტიტრებით; „სახლი“ – რუსლან მაგომედოვი, რუსული და ინგლისური სუბტიტრებით; „II Settimo“ ლუსკა ხალაპიანი,იტალიურად, სომხური და რუსული სუბტიტრებით; „საზამთრო“ – ტატო კოტეტიშვილი, ქართულად, იგნლისურ/რუსული სუბტიტრებით; „Bolis“ – ერიკ ნაზარიანი, ინგლისურად და სომხურად, რუსულ/ინგლისური სუბტიტრებით; „Untameable Kura“ გუსიან სეიძადე, აზერბაიჯანულად, ინგლისური სუბტიტრებით; ,,აფხაზეთი, 1914-1937“ რუსულად, ინგლისური სუბტიტრებით; „ხანუმა“ – ალექსანდრე წუწუნავა, ქართულად, ინგლისური სუბტიტრებით; „აფხაზეთი, დროის სახე“; „თეთრი ცხენი უკეთესია?“ ვიაჩესლავ აბლოთი; „ვედრება“ – თენგიზ აბულაძე; „სამხრეთ ოსეთი“; „ნეტავ იქ თეატრი არის?“ ნანა ჯანელიძე.

ფესტივალი დაიხურება 25 მარტს. დახურვის ცერემონიალზე ნაჩვენები იქნება ფილმები: „ჰურიკანე კალატოზოვი“ – პატრიკ კაზალსის დოკუმენტური ფილმი და მიხეილ კალატოზიშვილის ცნობილი „სვანური მარილი“.

ფესტივალის ორგანიზატორები არიან ნიდერლანდების და გაერთიანებული სამეფოს საელჩოები.

◎ „გაიღიმეთ“

რუსუდან ჭყონიას ფილმს ქალთა ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე აჩვენებენ

22-31 მარტამდე კრეტეის ფესტივალზე ქართველი რეჟისორის რუსუდან ჭყონიას ფილმი „Keep Smiling“, ანუ „გაიღიმეთ“ ქალთა ფილმების 35-ე საერთაშორისო ფესტივალის პროგრამაში იქნება წარდგენილი. კრეტეის ხელოვნების სახლში რუსუდან ჭყონიას ფილმს „შორეული ევროპის“ ფილმების კატეგორიაში აჩვენებენ.

30 ახალი ფილმისგან შემდგარი „შორეული ევროპის“ პროგრამა ძირითადად ფესტივალის მესამე სივრცეს ქმნის, რომელიც მთლიანად ევროპის თემას ეთმობა. მისი მთავარი თემები პოლიტიკურ, გარემოს დაცვის პრობლემებს, ასევე სოციალურ, კულტურულ თუ გრძნობების თემაზეა, რომლებსაც რეჟისორი ქალები ეხებიან. ისინი გვაცნობენ განსხვავებული რეალობის მატარებელ ქვეყნებს, რომლებმაც დიდი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცვლილებები განიცადეს.



ფილმის „Keep Smiling“, ანუ „გაიღიმეთ“ პრემიერა ვენეციის 69-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა. ფესტივალის პარალელურ პროგრამაში „ვენეციის დღეები“ მთელი მსოფლიოდან შერჩეულ 12 ფილმს შორის მოხვდა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო აღარაა საპრეზიდენტო ქვეყანა

მიხეილ სააკაშვილს საკვანძო უფლებამოსილებანი ჩამოართვეს

მიხეილ სააკაშვილის თითქმის ათწლიანი ეპოქა, არსებითად, დასასრულს მიუახლოვდა. 21 მარტს საქართველოს პარლამენტმა შეიტანა ცვლილებები კონსტიტუციაში, რომლის თანახმადაც პრეზიდენტი საბოლოოდ გადაიქცა თავისუფალ გენერლად, რომელსაც ჩამოართვეს შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს მთავრობაზე. ექსპერტების შეფასებით, „მოხდა სააკაშვილის დესუვერენიზაცია, იგი ასრულებს თავის პოლიტიკურ საქმიანობას“, პრეზიდენტის პარტია კი შეიძლება დარჩეს პოლიტიკურ სცენაზე, წამოაყენოს ახალი ლიდერი.

„ეს არის დიდი დღე, როდესაც ქვეყნის ბედი წყდება, – განაცხადა ჩვენთან საუბარში მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა. – **ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ დემოკრატიული ევროპის წიაღს, წავართვათ სააკაშვილს ასანთი, რითაც მას შეუძლია ქვეყანას ცეცხლი წაუკიდოს“.** ბატონ ბერძენიშვილს მხედველობაში ჰქონდა პრეზიდენტის შემორჩენილი საკონსტიტუციო უფლება – გადააყენოს მთავრობა და დანიშნოს დროებითი კაბინეტი პარლამენტთან შეუთანხმებლად.

საკონსტიტუციო რეფორმის თანახმად კი, რომელიც პრემიერმა ივანიშვილმა შემოგვთავაზა შარშან წლის ბოლოს, თუ პრეზიდენტი დაითხოვს მთავრობას, პარლამენტი კი არ დაეთანხმება ახალი პრემიერის კანდიდატურას, ოქტომბრის პრეზიდენტის არჩევნებამდე რჩება ძველი კაბინეტი. **„ეს მნიშვნელოვანია, რომ სააკაშვილს არ ჰქონოდა ცდუნება, გამოეყენებინა ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მახინჯი ნორმა ქვეყანაში კრიზისის პროვოცირებისთვის“,** – განმარტა მაშინ ბიძინა ივანიშვილმა.

ამის შემდეგ დაიწყო ვაჭრობა. ცვლილებების სანაცვლოდ მიხეილ სააკაშვილი ითხოვდა ამნისტიას თავისი ადმინისტრაციის ყოფილი ჩინოვნიკებისთვის, რომელთა წინააღმდეგაც პროკურატურამ წამოაყენა ბრალდებები. თუმცა, პრემიერმა ასეთი კომპრომისი უარყო. „ივანიშვილს სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო, ვინაიდან წინასაარჩევნო პერიოდში დაპირდა თანამებრძოლებს „დაემორჩილებინა ყოფილი რეჟიმი“, – აგვიხსნა დამოუკიდებელმა ექსპერტმა ნიკა იმნაიშვილმა.

16 საათისთვის, როდესაც დაიწყო 21 მარტის სხდომა, პარლამენტის შენობაში შეიკრიბა ჟურნალისტებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა არნახული ოდენობა. მომხსენებლები საკონსტიტუციო რეფორმებთან დაკავშირებით იყვნენ საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელი მანანა კობახიძე და იურიდიულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე. ქალბატონმა კობახიძემ დაწვრილებით ისაუბრა კონსტიტუციაში ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის მიმდინარეობის შესახებ, წაიკითხა საერთაშორისო ექსპერტებისა და არაკომერციული ორგანიზაციების დადებითი გამოხმაურებანი. **„გამოკითხვის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა 76 პროცენტი მოითხოვს პრეზიდენტის შესაძლებლობათა შეზღუდვას მთავრობის გადაყენებისა და პარლამენტის დათხოვნის შესახებ“,** – განაცხადა მან. ვახტანგ ხმალაძემ კი განმარტა ცვლილებების არსი: **„პრეზიდენტს უკვე აღარ შეეძლება, ჩამოაყალიბოს მთავრობა პარლამენტის თანხმობის გარეშე. ჩვენ ასე ავიცილებთ თავიდან შესაძლო კრიზისს“.**

დეპუტატმა პრეზიდენტის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გიგი წერეთელმა გაკვირვება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ცვლილებები კონსტიტუციაში შეაქვთ მხოლოდ რამდენიმე თვით, ვინაიდან პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ, რაც ოქტომბრისთვისაა დანიშნული, ძალაში შევა ახალი კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან საპარლამენტო რესპუბლიკად გადაიქცევა. **„დიახ, ეს ასეა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გავწიოთ რისკი რამდენიმე თვის განმავლობაშიც კი“,** – უპასუხა მას იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელმა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა პავლე კუბლაშვილმა შეგვახსენა, რომ პრეზიდენტის პარტია გამოდის არა თავად შესწორებათა წინააღმდეგ, არამედ იმ მეთოდების წინააღმდეგ, რომელთა მიხედვითაც ხდება საკონსტიტუციო რეფორმა. **„ჩვენ მზად ვიყავით, მხარი დაგვეჭირა რეფორმისთვის, მაგრამ არა ხელების გადაგრეხისა და დაშინების პირობებში“,** – წამოიყვირა მან. გადამწყვეტ სხდომამდე ერთი დღით ადრე „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ პრეზიდენტთან თათბირის შემდეგ წამოაყენა წინადადება, გამართულიყო ეგრეთ წოდებული სარეიტინგო კენჭისყრა. „დაე, მთელმა ქვეყანამ დაინახოს ტაბლოზე, რომ „ქართულ ოცნებას“ არ ჰყოფნის ხმები კონსტიტუციის ცვლილებებისთვის, და მხოლოდ ამის შემდეგ დავუჭერთ მათ მხარს“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

„მათ სურთ გვიჩვენონ, რომ შეუძლიათ ჩაშალონ უმნიშვნელოვანესი საკონსტიტუციო რეფორმა, მაგრამ ამას არ გააკეთებენ, – განმარტა ჩვენთან საუბარში პრემიერის მრჩეველმა გიორგი ხუხაშვილმა. – **სააკაშვილსა და მის გუნდს სურთ იმპოტენცია გაასაღონ, როგორც კეთილისმყოფელი“.**

მიუხედავად ამისა, პრეზიდენტის თანამებრძოლები დაჟინებით მოითხოვდნენ „სარეიტინგო კენჭისყრის“ მოწყობას, რომლის დროსაც „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო 93 ხმა. ამით პრეზიდენტის პარტიამ აჩვენა, რომ მმართველ კოალიციას არ ჰყოფნის ხმები კონსტიტუციის შესაცვლელად და ოპოზიციის კეთილი ნების გარეშე იგი ვერ განახორციელებს რეფორმას. ამის შემდეგ პარლამენტმა კენჭი უყარა არსებითად ცვლილებებს კონსტიტუციაში. 147 დეპუტატიდან მას მხარი დაუჭირა 135 აუცილებელი 100 ხმის კვორუმის პირობებში. წინააღმდეგ ხმა არავის მიუცია.

„დიახ, 1 ოქტომბერს პარლამენტის არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა გამარჯვება, მაგრამ ხალხმა არ მისცა მას კონსტიტუციური უმრავლესობა“, – განაცხადა ჩვენთან საუბარში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ხათუნა გოგორიშვილმა. მისი სიტყვებით, პრეზიდენტის პარტია დაჟინებით მოითხოვდა სარეიტინგო კენჭისყრას იმისთვის, რომ ქვეყნის მოსახლეობამ „თვალნათლივ დაინახოს: ოპოზიციამ შეინარჩუნა გავლენა, და ჩვენი მხარდაჭერის გარეშე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიღებული არ იქნება“.

მაგრამ თავად მიხეილ სააკაშვილისთვის ეს სუსტი ნუგეშია. ექსპერტების შეფასებით, მიღებული ცვლილებები ნიშნავს, რომ ის საბოლოოდ გადაიქცა თავისუფალ გენერლად, რომელსაც ჩამოართვეს შესაძლებლობა, მოახდინოს გავლენა მთავრობის მუშაობაზე. „მოხდა სააკაშვილის დესუვერენიზაცია, რომელიც უკვე ყველა თვალსაზრისით ამთავრებს თავის პოლიტიკურ საქმიანობას, – განაცხადა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში პოლიტოლოგმა მალხაზ ჩაჩავამ. – საპრეზიდენტო პარტია კი მოიქცა საკმაოდ ცბიერად, დაბეჯითებით რომ მოითხოვდა სარეიტინგო კენჭისყრას და შეინარჩუნა შანსები, დარჩეს პოლიტიკურ სცენაზე უკვე ახალ ლიდერთან ერთად“.

Коммерсант

დედამიწის ზურგზე

ობამამ მოანესრიგა ურთიერთობა ნეთანიაჰუსთან, ამ დროს აღაშფოთა ისრაელელები და ვერც პალესტინელები გაახარა

იერუსალიმში სტუდენტების წინაშე გამოსვლის დროს ობამამ მოუწოდა ისრაელელებს, აიძულონ მთავრობა, დადოს სამშვიდობო ხელშეკრულება პალესტინელებთან, შეწყვიტოს „ოკუპაცია“, რითაც ერთ-ერთი მმართველი პარტიის გაკვირვება გამოიწვია. პალესტინელები მაინც უკმაყოფილონი არიან – ობამამ მოუწოდა მათ მოლაპარაკებისკენ დასახლების მშენებლობის გაუყინავად.

ჩინელმა თოხის ერთი დარტყმით მოკლა პოლიციელი უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებული დავის გამო

34 წლის ინსპექტორი დუან ცზინ ინი კოლეგებთან ერთად მივიდა შესამოწმებლად უკანონო მშენებლობის ადგილზე. გააფთრებული დავების შემდეგ ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა თავს წესრიგის დამცველს უკნიდან კეფაში ჩაარტყა თოხი. საშინელი დანაშაული აღბეჭდილია ვიდეოზე, რომელიც ქსელში მოხვდა.

აშშ-ის სპეცსამსახურის აგენტმა ლამის მოკლა ირანის პრეზიდენტი



ჟურნალისტმა, რომელიც ადრე აკრედიტებული იყო თეთრ სახლთან, თავის წიგნში ისაუბრა 2006 წლის მოვლენების შესახებ. მაშინ ახმადინეჟადის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს აგენტმა, რომელიც იცავდა ბუშ-უმცროსს, იარაღის ჩალაგების დროს შემთხვევით გაისროლა ირანის ლიდერის მიმართულებით. მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების შიშისა, ახმადინეჟადს ამის შესახებ არასოდეს უსაუბრია.

ამერიკელმა რესტლერმა გადაარჩინა თავისი ლედა „დათვის მოხვევის“ ხერხის დახმარებით



125-კილოგრამიანმა კრის რესტლერმა გაიგო, რომ დედამისი დაბლოკა სახლში ვიღაც გიჟმა, რომელიც იმუქრებოდა შენობის დანგრევით. რესტლერი დაუყოვნებლივ მიიჭრა სახლთან და ამოთხარა ხე, რომელიც ფანჯარას კეტავდა, საიდანაც დედამისმა შეძლო გარეთ გამოსვლა.

ლონდონის აეროპორტში დააკავეს რუსი ბიზნესმენი, რომელიც გამოძიებას 2010 წლიდან ემალებოდა

გაკოტრებული ჰოლდინგის „მარტას“ ყოფილი ხელმძღვანელი გიორგი ტრეფილოვი სამშაბათს დააკავეს გეტვიკში დოკუმენტების შემოწმების დროს. 41 წლის მეწარმე ცდილობდა, გამგზავრებულიყო დიდ ბრიტანეთში ყალბი ბერძნული პასპორტით. რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტი მას გაიძვერობაში სდებს ბრალს.

ამერიკელმა მძღოლმა ქალმა ფეხით გადმოაგდო ავტობუსიდან აუტისტი გოგონა

შოკისმომგვრელი ეს შემთხვევა მოხდა ფლორიდის შტატის ქალაქ ტამპაში. 8 წლის გოგონას სურდა, გამოსულიყო ავტობუსიდან ისე, რომ არ დალოდებოდა თავის გაჩერებას. როდესაც მძღოლისგან უარი მიიღო, მან მას ხელი ჰკრა, რის შემდეგაც 41 წლის ქალმა ფეხით გადმოაგდო გარეთ ბავშვი, რომელსაც კოჭი მოტყდა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კრიმინალი

კოდუებს და ჩოჩელს თაღლითობა ძვირად დაუჯდათ

„ძართუ ბანკის“ გაკოტრების საქმეზე ბრალდებულ ბიზნესმენებს – ლაურა ღაჭავას და მის ვაჟს დავით კოდუას აღმკვეთ ღონისძიებად 600-600 ათასლარიანი გირაო შეეფარდათ, ცეზარ ჩოჩელს კი – 300 ათასლარიანი.

მთლიანობაში, თბილისის საქალაქო სასამართლომ „ბანკ ქართუს“ გაკოტრების საქმეზე ბრალდებული 19 ბიზნესმენის საქმე განიხილა. აღნიშნულ ბიზნესმენებს ბრალად ედებოდათ დიდი ოდენობით ქონების მითვისება მოჩვენებითი გარიგებით, ასევე – ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენება.

ბიზნესმენების ინტერესების დამცველი ადვოკატები აცხადებენ, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უსაფუძვლოა, რადგან ამ შემთხვევაში, ბანკის გაკოტრების სქემით დაზარალებულები უფრო ბიზნესმენები არიან. ამიტომაც პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

ლაურა ღაჭავა აცხადებს, რომ ეს ყველაფერი ზემოდან იყო დაგეგმილი და თუ ვინ იყო დამკვეთი და რა მოხდა სინამდვილეში, გამოძიებამ მასზე უკეთ იცის. ღაჭავამ მხოლოდ ის იცის, რომ „ბანკ ქართუში“ სესხი აქვს გასასტუმრებელი, რომელზეც საურავები არის დარიცხული იმის გამო, რომ 2011 წლის დეკემბრიდან თანხას არ იხდიდა. ამდენად, იგი „ქართუ ბანკის“ მიმართ არსებული 397 302,85 ლარის ვალდებულების დაფარვისთვის მზადაა.

„მე დასჯადი არაფერი ჩამიდენია, – აცხადებს ლაურა ღაჭავა.

ადვოკატი ალა კახნიაური, რომელიც „ქართუ ბანკის“ ინტერესებს იცავს, აკონკრეტებს მათ დანაშაულებრივ სქემას და აცხადებს, რომ ეს ადამიანები ჩვეულებრივი დამნაშავეები არიან, ვინაიდან მათ მონაწილეობა მიიღეს ბანკის გაკოტრების საქმეში და სასამართლო დღესაც მათ ყველანაირად ხელს უწყობს. თუ 1 ოქტომბრის არჩევნებამდე, როგორც წესი, გირაოს თითქმის არავის უფარდებდნენ და ამა თუ იმ პირის უდანაშაულობის თუ დამნაშავეობის მიუხედავად, დაჭერისთანავე სასამართლო მათ დაპატიმრებას უფარდებდა, ახლა მტკიცებულებებით გამყარებული ბრალის მიუხედავადაც, სასამართლო მაინც არ უფარდებს მათ დაპატიმრებას.

„ასე 180 გრადუსით შეიძლება სასამართლოს დამოკიდებულების შეცვლა დამნაშავე პირთა მიმართ?“ – კითხულობს ადვოკატი და მიიჩნევს, გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო მათთვის დაკისრებული თანხა და საერთოდ, შეიძლებოდა, ამის გამო ისინი დაეპატიმრებინათ კიდეც. თუმცა, გირაოს შეფარდებაც ძალიან კარგია, რადგან ბიუჯეტში შევა თანხები.

ამასთან, მისი თქმით, გამოძიება, ალბათ, დაადგენს, რომ ეს პროცესი მართვადი იყო და ადეიშვილი და პრეზიდენტი ჩარეულები იყვნენ ამ საქმეში. უფრო მეტიც, ალა კახნიაური დღესაც იმეორებს, რომ მთელი სახელმწიფო მანქანა მუშაობდა ბანკ „ქართუს“ წინააღმდეგ.

რაც შეეხება ლაურა ღაჭავას ოჯახსა და ცეზარ ჩოჩელის ინტერესებს, ადვოკატი აცხადებს, რომ ამ ადამიანებს დავალიანება რომ ჰქონოდათ, ამხელა კრედიტს ხომ ვერ გაიტანდნენ ბანკიდან?! ამიტომაც სახელმწიფომ ასეთი რამ მოიფიქრა, შეცვალა კანონი და დაადგინა, რომ, თუ პირს წარმოეშვება დავალიანება და ქონება იქნება ბანკში ჩადებული, ამ შემთხვევაშიც, სახელმწიფოს მიეცემა უპირატესობა ბანკთან შედარებით.

ეს ყველაფერი ხელოვნურად შექმნეს და გამოიყენეს მხოლოდ და მხოლოდ ბანკ „ქართუს“ წინააღმდეგ.

მისი თქმით, ეროვნული ბანკი, პროკურატურა, შემოსავლებისა და სააღსრულებო სამსახურები ერთობლივად მოქმედებდნენ ამ ერთი ბანკის წინააღმდეგ.

ცნობისთვის, შსს-ს ინფორმაციით, „ბანკი ქართუს“ გაკოტრების დანაშაულებრივი სქემა რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა.

პირველ ეტაპზე ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა შეიმუშავეს და პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილებები დაამტკიცა, რომლის თანახმადაც, საგადასახადო დავალიანების აღმოჩენის შემთხვევაში სახელმწიფოს უფლება ეძლეოდა აუქციონის წესით იურიდიული პირების ქონება გაეყიდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქონება ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით იყო დატვირთული.

დანაშაულებრივი სქემის თანახმად, ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ ბიზნესმენებს, რომელთაც „ქართუში“ საკრედიტო დავალიანება ჰქონდათ, უნდა ეღიარებინათ არარსებული საგადასახადო დავალიანება, ამის შემდეგ იმ ქონებას, რომელიც ბანკის მიერ იპოთეკით იყო დატვირთული, აუქციონზე გაიტანდნენ, სადაც მყიდველი არ დაფიქსირდებოდა, ამის შემდეგ ეკონომიკის სამინისტრო პირდაპირი მიყიდვის გზით, სიმბოლურ ფასად სხვა კომპანიებზე გაყიდდა, რომლებსაც სინამდვილეში ამავე ქონების ყოფილი მეპატრონეები აკონტროლებდნენ. ამ გზით ხელისუფლებასთან დაკავშირებულ ბიზნესმენებს ქონებაც არ ეკარგებოდათ და დანაშაულებრივ სქემაში მონაწილეობით ბანკი „ქართუს“ საკრედიტო დავალიანება უუქმდებოდათ, რომლის უზრუნველყოფას სწორედ იპოთეკით დატვირთული ქონება წარმოადგენდა. ამით დაზარალებული რჩებოდა ბანკი „ქართუ“, რომელსაც იმ დროისათვის მეწარმე სუბიექტებისთვის მიცემული ჰქონდა 59 მილიონ 997 ათასი დოლარისა და 3 757 000 ლარის კრედიტები.

მარიამ ლოლაშვილი

◎ ინფორმაცია

ოსი და ქართველი პატიმრების გაცვლა დაიწყო

უკვე დაწყებულია არაოფიციალური პროცესი, რომლის ფარგლებში საქართველოს ციხეებში მყოფ ეთნიკურად ოს პატიმრებს ცხინვალში დაკავებულ ქართველებზე გაცვლიან. ამის შესახებ სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, ეთნიკურად ოსი მოქალაქეები საქართველოში პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლნი ხდებოდნენ, რისი ათეულობით შემთხვევა არსებობს.

ნანუაშვილის ინფორმაციით, პოლიტიკური ზეწოლის ერთ-ერთი მსხვერპლი 75 წლის ქალია, რომელიც რამდენჯერმე დააკავეს, შემდეგ კი მოახერხა და საქართველო დატოვა.

ამასთან, ომბუდსმენის ინფორმაციით, ყველა ეთნიკურად ოს მოქალაქეს, რომლებიც ქართულ ციხეებში არიან, მათ შორის ქალებს, ძირითადად ჯაშუშობაში ედებათ ბრალი.

მისი თქმით, თვალის ზედაპირულად გადავლებითაც კი, ჩანს, რომ საქმეები შეთითხნილია.

ამასთან, სახალხო დამცველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რაც ხდებოდა, პოლიტიკური დევნის ნიშნებს შეიცავს და არა – ეთნიკურის.

მისი თქმით, სახალხო დამცველმა ცხინვალის ციხეებში საქართველოს მოქალაქეების რაოდენობის დადგენა ცხინვალის ადგილობრივ არასამთავრობებს სთხოვა და პროცესი დაწყებულია.

„ყაზტრანსგაზი“ ყაზახური მხარეს დაუბრუნდება?

ენერგეტიკის მინისტრი „ყაზტრანსგაზის“ ყაზახური მხარისთვის დაბრუნებაზე მოლაპარაკებებისთვის მზადყოფნას გამოთქვამს.

როგორც კახი კალაძემ განაცხადა, ამ თემასთან დაკავშირებით ყაზახეთიდან საქართველოს დამატებით დელეგაცია არ სწვევია.

მინისტრის განმარტებით, მხოლოდ ერთი ოფიციალური ვიზიტი იყო ყაზახეთის ვიცე-პრემიერის ხელმძღვანელობით, რომელზეც დაისვა „ყაზტრანსგაზის“ დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხი.

– ჩვენ მათ თანხმობა მივეცით და მზად ვართ ეს საკითხი განვიხილოთ. მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს ჩამობრძანდნენ და დავიწყოთ მოლაპარაკებები, რადგან გასარკვევია გარკვეული თემები, – აღნიშნა კახი კალაძემ.

გასარკვევ თემებს შორის არის „ყაზტრანსგაზის“ 70-მილიონიანი დავალიანება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე, რის გამოც კომპანიის საქმიანობას ამ ეტაპზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური სწავლობს.

მესაზღვრეებმა საქართველოს დროშით მცურავი თევზმჭერი სეინერი დააკავეს

შსს სასაზღვრო პოლიციის საჩაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სასაზღვრო რეჟიმის დარღვევის ფაქტზე, გონიოს საზღვაო რაიონში, საქართველოს დროშით მცურავი თევზმჭერი სეინერი ZAMAN AVCI-2 დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას სასაზღვრო პოლიცია ავრცელებს.

აღნიშნული სეინერის კაპიტანს, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეს სახელმწიფო ბიუჯეტის საკარგებლოდ დაეკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114 (პრიმა ორი) მუხლის VII ნაწილის შესაბამისად.

ინტერპრესი

◎ უცხოელთა შეფასება

ქართული ამნისტიის კანონს ევროპელები სამაგალითოდ მიიჩნევენ

ბუნდესტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრმა, ადამიანის უფლებათა დამცველმა კრისტოფ შტრასერმა საქართველოში ამოქმედებულ ამნისტიის შესახებ კანონს სამაგალითო უწოდა.

დასავლეთი აღიარებს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ ამნისტიის კანონს, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტმა ვეტო დაადო.

„საქართველო არის პირველი ქვეყანა, სადაც პოლიტპატიმრები ევროსაბჭოს მიერ დადგენილი კრიტერიუმებით გათავისუფლდნენ. ეს კანონი, შესაძლოა, იქცეს მაგალითად რეგიონის სხვა სახელმწიფოებისთვისაც. იმედს გამოვთქვამთ, რომ ამნისტიის კანონი საქართველოს საზღვრებს გასცდება“, – ნათქვამია გერმანიის ბუნდესტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის განცხადებაში.

გერმანელების შეფასება სავარაუდოდ „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის“ და „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ერთობლივი განცხადების გამოძახილი იყო. ორგანიზაციები მიესალმებიან 2013 წლის იანვარში 190 პოლიტიკური პატიმრის გათავისუფლებას ამნისტიის შესახებ კანონის საფუძველზე, რომელიც 2013 წლის 12 იანვარს მიიღო პარლამენტმა და მოუწოდებენ საქართველოს მთავრობას, განაგრძოს მართლმსაჯულების რეფორმა.

„ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია“ და „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, შექმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის იმ პოლიტპატიმართა საქმეებს, რომლებმაც სასჯელი სრულად მოიხადეს, ან გათავისუფლდნენ „ამნისტიის შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე და მიანიჭოს მათ შესაბამისი სტატუსი, რაც აუცილებელია ამ ადამიანების საზოგადოებაში სრულფასოვანი რეაბილიტაციისათვის, ასევე განაგრძოს სავარაუდოდ პოლიტიკური პატიმრების საქმეების გამოძიება.

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი ალექსანდრე ცქიტიშვილი აცხადებს, რომ ორგანიზაციამ პარლამენტს 180-მდე პატიმრის საქმის შესწავლა შესთავაზა, რომლებიც „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ პოზიციით პოლიტპატიმრები იყვნენ და ამ სტატუსით ციხიდან განთავისუფლებას იმსახურებდნენ. ცქიტიშვილის თქმით, პარლამენტის მიერ პოლიტპატიმრების სტატუსით განთავისუფლებული პატიმრების უმეტესობა სწორედ ის ადამიანები არიან, რომელთა საქმეებიც პარლამენტს „ადამიანის უფლებათა ცენტრმა“ შესთავაზა, თუმცა არიან კიდევ სხვა პირები, რომლებიც ამ სიაში ვერ მოხვდნენ და სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ მათი საქმეები ცალკე შეესწავლა. ამ ადამიანებს შორის ცქიტიშვილი ვაჰაგნ ჩახალიანს ასახელებს. „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ მიიჩნევს, რომ ჩახალიანი პოლიტიკური პატიმარი იყო, მაგრამ პარლამენტთან შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ მისი საქმე ცალკე შესწავლის საგანი იყო და მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მოგვიანებით უნდა ყოფილიყო მიღებული. ალექსანდრე ცქიტიშვილი ამბობს, რომ პარლამენტში ასეთი საქმეების განხილვა ამჟამადაც მიმდინარეობს.

უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე (რომელიც პოლიტპატიმრების საკითხის განხილვაში მონაწილეობდა) ამბობს, რომ შტრასერი იშვიათი გამონაკლისია, რომელმაც შეძლო და საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით სიმართლე თქვა. კაკაბაძის თქმით, დასავლეთში „ნაციონალური მოძრაობის“ ლობისტური და მოკავშირე ორგანიზაციები ამ სიმართლის მიჩქმალვას და პოლიტპატიმრების განთავისუფლების პროცესის დისკრედიტაციას ეწეოდნენ, მაგრამ შტრასერმა პირველმა განაცხადა, რომ საქართველო ევროსაბჭოს რეკომენდაციებს გამოეხმაურა და ის არის პირველი ქვეყანა, რომელმაც ციხეებიდან პოლიტიკური პატიმრები გაანთავისუფლა.

„შტრასერმა იმედი გამოთქვა, რომ ეს პროცესი სხვა ქვეყნებსაც გადაედება და მე ძალიან გამიხარდა, რომ ვილაცამ ეს პროცესი დაინახა ისე, როგორც ის სინამდვილეში მიმდინარეობდა. უფრო სწორად, შეიძლება ბევრმა სხვამაც დაინახა, მაგრამ ხომ გაგიგიათ, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო და სწორედ ეს შეიძლება ითქვას იმ ვითარებაზე, რაც ამ პროცესთან დაკავშირებით შემქნილი იყო როგორც ქვეყანაში, ასევე მის საზღვრებს გარეთ“, – აცხადებს ნანა კაკაბაძე.

ნინო ულენტი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კონტაქტები

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა და ბულგარეთის რესპუბლიკის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მინისტრმა პეტარ სტოიჩევმა სპორტის სფეროში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მემორანდუმი დაიდო 5 წლის ვადით და გაგრძელდება შემდგომი ხუთწლიანი პერიოდებით.

დოკუმენტი, რომელიც 12 მუხლს მოიცავს, სპორტის სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობას შეუწყობს ხელს.

მემორანდუმის თანახმად:

მხარეები უზრუნველყოფენ სპორტულ ორგანიზაციებს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას;

დაეხმარებიან ერთმანეთს სპორტის სფეროში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში;

ითანამშრომლებენ ისეთ სფეროებში, როგორიცაა სპორტული ღონისძიებების ორგანიზება;

მწვრთნელებისა და შესაბამისი სპეციალისტებისათვის პროფესიონალიზმის დონის და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ხელს შეუწყობენ პირდაპირი ურთიერთობების დამყარებას ორივე ქვეყნის სასპორტო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სპორტულ საქმიანობაში ჩართულ კვლევით ცენტრებსა და უნარშეზღუდულ სპორტსმენებს შორის.

ბულგარეთის რესპუბლიკის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მინისტრი პეტარ სტოიჩევი:

„ჩვენ დღეს ხელი მოვაწერეთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც საკმაოდ ბევრ საკითხს მოიცავს, თუმცა უპირველეს ყოვლისა ჩვენ დავიწყებთ მუშაობას ანტიდოპინგური კამპანიის ჩასატარებლად, ასევე განვიხილავთ სპორტსმენებისა და მწვრთნელების ურთიერთგაცვლის საკითხებს. ქართველ სპორტსმენებს საშუალება მიეცემათ ბულგარეთში გაიარონ წვრთნები, ხოლო ბულგარელები ანალოგიური მიზნით საქართველოს ესტუმრებიან. ასევე დაგეგმილია შეხვედრები სპორტული ფედერაციების პრეზიდენტებთან, სადაც ჩვენ განვიხილავთ სამომავლო თანამშრომლობის კონკრეტულ საკითხებს.“

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭადრაკი

მეორე ადგილი იკმარა

ბულგარული პლოვდივი ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობდა რაპიდში (სწრაფი ჭადრაკი), სადაც ქალთა შორის შვიდი ქვეყნის 16 წარმომადგენელი იბრძოდა მედლებისთვის. მათგან სამი საქართველოდან იყო: ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, ვეტერანთა შორის მრავალი პრიზის მფლობელი, დიდოსტატი თამარ ხმიადაშვილი და საერთაშორისო არბიტრი მარგალიტა თანდაშვილი. ჩვენებურთაგან სხვებზე უკეთ გაფრინდაშვილმა იასპარეზა – ცხრა შესაძლებლიდან 6,5 ქულა მოაგროვა და უკეთესი კოეფიციენტით მეორე ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი დამატებითი მაჩვენებლებით მესამე იყო გალინა სტრუტინსკაია (რუსეთი). 7 ქულით ჩემპიონობა მასპინძელმა რუჟკა გენოვამ მოიპოვა. თანდაშვილსა და ხმიადაშვილს 5-5 ქულით, შესაბამისად, მე-7 და მე-9 ადგილები ერგოთ.

მამაკაცებში პირველ-მესამე ადგილებზე გავიდნენ: 1. ივან რადულოვი (ბულგარეთი, 7 ქულა), 2. ევგენი სვეშნიკოვი (ლატვია, 7), 3. ვლადიმირ ოხოტნიკი (რუსეთი, 6,5).

გივი გაგუა

◎ ევროპის ჩემპიონატი

ბრინჯაოს დებიუტი



18 წლის გორელი ფალავანი გენო პეტრიაშვილი (120 კგ) ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტია – ასეთი დონის შეჯიბრებაში უფროსებში პირველად იასპარეზა. ამის მიუხედავად, მან შესანიშნავად იჭიდავა და, როგორც გუშინ გაუწყეთ, მძიმე წონაში ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა, რაც სულაც არ არის ურიგო. პირველ წრეში ჩვენებურმა (საგულისხმოა, რომ მან ნაკრების შემადგენლობიდან პეკინის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი დავით მოძმანაშვილი ამოაგდო) მაკედონიელი ბობან დანოვი დაჩაგრა (ორი პერიოდის ჯამში – 5:0), მერე რუსთა დაღესტნელი ფალავანი მაგომედგაჯი ნურასილოვი დაამარცხა – 10:2. შარშან შემოდგომაზე ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაზე გორელ მოჭიდავეს რუსეთელმა აჯობა და გენომ ახლა რევანში აიღო. არადა, თავიდან ფეხში შესვლით ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი დაწინაურდა. რამდენიმე წამში პეტრიაშვილმა სამქულიანი ფანდით უპასუხა, პერიოდის მიწურულს მდგომარეობა არ გაამწვავა და მეტოქეს ქულა დაუთმო, რაც უფრო ტაქტიკური სვლა იყო. აი, შესვენების შემდეგ ქართველმა საშინელი დღე აყარა რუსეთელს: ჯიქურ ეკვეთა ნურასილოვს, ჯერ ქულა აართვა, რასაც სამქულიანი ფანდი მიაყოლა და ბოლოს სუფთადაც გაიმარჯვა. ნახევარფინალში ალენ ზასეევთან (უკრაინა) დამარცხდა, „ბრინჯაოსთვის“ ბრძოლაში კი ნიკ მატიუხინს (გერმანია) აჯობა – 9:2. სამივე პაექრობაში ახალგაზრდა

სპორტსმენმა დიდი უპირატესობით დაჯაბნა მეტოქეები, რომლებთანაც ქულათა უმეტესობა ფეხში შესვლითა და მათი ხალიჩიდან გაყვანით მოაგროვა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პეტრიაშვილს სამქულიანი ფანდებიც კარგად ეხერხება. ამ წონაში თურქმა ტაჰა აკგულმა იმარჯვა.

74 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს სპორტულ ღირსებას დავით ხუციშვილი იცავდა. პირველ წრეში მან ავსტრიელ ფილიპ გრეპაზს სძლია, თუმცა მეორე პაექრობისას, რუსეთელ ანუარ გედუევთან, ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და ვერაფერს გახდა. სანუგეშოშიც ერთი შეხვედრა კი მოიგო, მაგრამ მერე ბულგარელ ევროპის ვიცე-ჩემპიონ ნიკოლაი ბაზანთან დამარცხდა და უმედლოდ დარჩა. ამ წონაში უკრაინის სახელით მოასპარეზე გია ჩიხლაძე მესამე ადგილზე გავიდა. გახარებულმა მამამისმა ქართული და უკრაინული ალმებით შემოურბინა არენას, რასაც მაყურებელთა მხურვალე ოვაცია მოჰყვა, ჩემპიონობა კი ანუარ გედუევმა მოიპოვა. მისი გამარჯვების აღსანიშნავად ყაბარდოელმა გულშემატკივრებმა ტრიბუნაზე თავიანთი რესპუბლიკის დროშა გამოფინეს...

ლევანს ციცაძე

◎ დაფასება

პატივი მიაგეს გივი კარტოზიას ხსოვნას

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ, ევროპის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ცენო ცენოვმა, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნენად ლაზოვიჩმა და ვეტერანმა მოჭიდავეებმა სპორტის სასახლესთან მდებარე გივი კარტოზიას ძეგლი ყვავილებით შეამკეს და მის ხსოვნას პატივი მიაგეს.

გივი კარტოზია დაიბადა 1929 წლის 29 მარტს ბათუმში. ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე (79 კგ). XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1956, მელბურნი) , XVII ოლიმპიადის მესამე პრიზიორი (1960, რომი), მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1953, 1955, 1958). ქართველ სპორტსმენთაგან პირველმა მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ჭიდაობა

რიგაში რიგიანად იასპარეზეს

ლატვიის დედაქალაქში დამთავრდა ახალგაზრდა მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით იასპარეზეს საქართველოს წარმომადგენლებმა. „კლასიკოსებმა“ 4 ოქროს, ამდენივე ბრინჯაოს და ერთი ვერცხლის მედლით გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს, თავისუფალი სტილით მოჭიდავეები კი სამ ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოს დასჯერდნენ, რითაც გუნდურ მეორე ადგილზე გავიდნენ.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ფირუზ წულუკიძე (66), რობერტ ქობლიაშვილი (84), ბექა კანდელაკი (96) და იაკობ ქაჯაია (120). ხვიჩა ჭითავა (60) ფინალში დამარცხდა ყაზახ მეტოქესთან. მესამე ადგილები ამირან შავაძეს (50), ედნარ შავაძეს (55), შმაგი ბოლქვაძეს (66) და კუკური კირცხალიას (96) ერგოთ. ორ წონაში ქართული ნახევარფინალები გაიმართა: წულუკიძემ – ბოლქვაძე, კანდელაკმა კი კირცხალია დაამარცხა.



„თავისუფალთაგან“ ოქროს მედლები ნიკა ტატუაშვილმა (50), შოთა ფარტენაძემ (60) და კახა ელბაქიძემ (66) მოიპოვეს, ბექა ბუჯიაშვილი (55) მეორე იყო, ლაშა გიგაშვილმა (74) „ბრინჯაო“ დაისაკუთრა.

ლაშა დიდია

◎ მოვლენის წინ

„პსჟ“ – „ბარსას“ მატჩზე დასწრება 700 ათას ადამიანს სურს

2 აპრილს „პარკ დე პრენსზე“ ტევა არ იქნება

ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური მატჩი „პარი სენ ჟერმენსა“ და „ბარსელონას“ შორის 2 აპრილს პარიზში გაიმართება, თუმცა „პარკ დე პრენსის“ სტადიონის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ბილეთები უკვე გაყიდულია. „ეს აჟიოტაჟი ანსამბლ „როლინგ სთოუნზის“ კონცერტს

თუ შეედრება, – უთხრა L'equipe-ს „პსჟ“-ს გენდირექტორის მოადგილემ ფრედერიკ ლონგიუპემ. – ჩვენი სტადიონი 45 ათას მაყურებელს იტევს, აქედან 25 ათასი სეზონური აბონემენტის მფლობელია, 5 ათასი უეფასა და „ბარსელონას“ აქვთ დაჯავშნილი, ასე რომ, თავისუფალ გაყიდვაში მხოლოდ 15 ათასი ბილეთი იყო, ხოლო მოთხოვნა დაახლოებით 700 ათასი ადამიანისგან შემოვიდა. შავ ბაზარზე უკვე ყიდიან ბილეთს ათას ევროდ“.

გიორგი ზოთაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ინფორმაცია

საქართველოში ცვალებადი ამინდია მოსალოდნელი

ერთი კვირის განმავლობაში საქართველოში ცვალებადი ამინდია მოსალოდნელი. როგორც „ინტერპრესნიუსს„ გარემოს ეროვნული სააგენტოს გრძელვადიანი პროგნოზების ბიუროს უფროსის მოადგილემ ნინო წვერავამ განუცხადა, მცირე ნალექი აღმოსავლეთ საქართველოში დღეს ძირითადად თბილისსა და ბოლნისში დაფიქსირდება. დასავლეთ საქართველოში კი ჰაერის ტემპერატურა 27 გრადუსამდე აიწევს. დღის განმავლობაში იქ ქარი გაძლიერდება, რომლის სიჩქარე წამში 20-25 მ იქნება.

23 მარტს კი საქართველოში ჩრდილო-დასავლეთიდან ცივი და ნოტიო ჰაერის მასები დაიწყებს შემოსვლას, რის შედეგადაც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ამინდი გაუარესდება. დასავლეთ საქართველოს უმეტეს და აღმოსავლეთის ზოგიერთ რაიონებში წვიმაა მოსალოდნელი. მთებში ზოგან ითოვებს. აღმოსავლეთ საქართველოში კი ქარი გაძლიერდება, რომლის სიჩქარე წამში 20-25 მეტრი იქნება. ნალექიანი ამინდები საქართველოში 24 მარტის ჩათვლით დარჩება. 25-27 მარტს კი გამოიდარებს და საქართველოში უნალექო ამინდები იქნება. 28 მარტიდან კი კვლავ ნალექია მოსალოდნელი.

ინტერპრესი

ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება ცენტრის უფროსი თანამშრომლის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის

ნათელა სალირაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ იარეთ მხოლოდ პირდაპირ!..

განშორება ნიშნით - პლუსი

ემოციებს ნუკი ჩაყლაპავთ. გადაიტანეთ

განშორება ხშირად იწვევს სასოწარკვეთილებას, მწუხარებასა და ტკივილს... მაგრამ, როდესაც სიტუაციის შეცვლა შეუძლებელია, შეცვალეთ დამოკიდებულება მისადმი. მაშინ სულ სხვა ემოციების განცდა დაგეუფლებათ.

მეცნიერებმა დაიანგარიშეს: საყვარელ ადამიანთან განშორების განცდა შეიძლება გრძელდებოდეს სამი თვიდან სამ წლამდე. და იმისთვის, რომ განხეთქილების განცდის მომენტში სიცოცხლე ტანჯვად და წამებად არ გადაგვექცეს, უნდა ვისწავლოთ სწორად ფიქრი.

აზრთა სწორი სახე

ყველაზე რთული, მაგრამ ყველაზე მიზანშეწონილი, რაც შეიძლება გავაკეთოთ — ვაღიაროთ მომხდარი. აღშფოთება უკვე მომხდარის გამო, სულ ცოტა, უგუნურობაა, იმას ჰგავს, რომ დააბრალო წვიმას ან სიცხეს. უმჯობესია შეურიგდე ამას.

ანალიზი გაუკეთეთ სიტუაციას. ვინაიდან ურთიერთობაში ორი პირია და თქვენს პარტნიორს აღარ სურს თქვენი საზოგადოება, მაშასადამე, ამაში თქვენი ბრალიც არის. საჭიროა ბოლომდე გაერკვეთ თქვენს შეცდომებში, რომ ისინი აღარ გაიმეოროთ. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გავიგოთ — სხვა ადამიანსაც აქვს მოქმედების არჩევის უფლება, რომ ის არაფრითაა ვალში თქვენს წინაშე, და არ არის ვალდებული შეესაბამებოდეს თქვენს მოლოდინს. არ ღირს წყენის შენარჩუნება, ვინაიდან ეს ემოციები არ იძლევიან ცხოვრებით კმაყოფილებისა და განვითარების შესაძლებლობას. თანაც წყენა და რისხვა არ იძლევიან საშუალებას, იოლად და ძალდაუტანებლად ჩავერთოთ ახალ ურთიერთობებში. შეეცადეთ მიუტევოთ ყოფილ პარტნიორს.

სწორი თვითშეგრძნება

ურთიერთობის გაწყვეტა რომ უფრო იოლად გადავიტანოთ, დაიცავით მარტივი წესები.

ემოციებს ნუკი ჩაყლაპავთ, არამედ გადაიტანეთ. ის, რაც თქვენ გემართებათ, სტრესის შემდეგ აღდგენის ბუნებრივი პროცესია.

საკუთარი ღირსებისა და თავმოყვარეობის შელახულ გრძნობას ნუ აურევთ სიყვარულში და დარტყმას, თავმოყვარეობამ რომ მიიღო — ტკივილში საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის შესაძლებლობის დაკარგვის გამო.

ნუ იქცევით მსხვერპლად. დაიწყო საკუთარი თავის შებრალება, ჩართო იმ საქმეში მახლობლები — ყველაზე იოლი გადაწყვეტილებაა, მაგრამ ეს დროის განმავლობაში გვექცევა ჩვეულებად, ცხოვრების წესად, შემდეგ კი ბედისწერად. გინდათ კი განა მხსვერპლის ბედისწერა?

თუ წამება დიდხანს გრძელდება, უნდა გაერკვეთ — რას მიიღებთ იმისგან, რომ იტანჯებით. თუ არის პრობლემა, მაშასადამე, ის რაღაცას ემყარება. რა სარგებელი უნდა მიიღო აქედან?

ნუ მისცემთ თავს ნებას, იმყოფებოდეთ მჭმუნვარებასა და სევდაში. თქვენ და თქვენი ემოციები — ერთი და იგივე როდია. ჩართეთ სპონტანურობა, გონების სიხალისე და არტისტიზმი: როდესაც თავს ცუდად გრძნობთ, გაიკეთეთ ნიღაბი, მაგალითად, მერილინ მონროსი, გაიცოცხლეთ მისი სახე საკუთარ თავში და შეეცადეთ იგრძნოთ სხვა ემოციები.

არ დაუშვათ, რომ აღარ გიყვართ საკუთარი თავი. თუ ვინმემ გადაწყვიტა აღარ ჰქონდეს თქვენთან ურთიერთობა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თქვენ სიყვარულის ღირსი არა ხართ. დარჩით იმად, ვინც ხართ. ამ ურთიერთობიდან თქვენ შეიძინეთ გამოცდილება, გამდიდრდით — და კვლავ წინ!

სწორი მოძმედებანი

უყურეთ **საყვარელ ფილმებს, უსმინეთ სასიამოვნო დამამშვიდებელ მუსიკას და იკითხეთ წიგნები.**

ნუ შეიზღუდავთ თვალსაწიერს: უმზირეთ, თვალყური ადევნეთ მსოფლიოს, ადამიანებს. იმოგზაურეთ, თუნდაც მშობლიურ ქალაქში.

იქონიეთ ურთიერთობა მეგობრებთან და მახლობლებთან. მაგრამ ერთბაშად ნუ ჩაერთვებით ახალ კავშირურთიერთობებში.

გაუზიარეთ თქვენი აზრები მახლობლებს. თუ არის შესაძლებლობა — წერეთ წერილები, ლექსები, ხატეთ.

ნუ დაივიწყებთ გვერდით მყოფ ადამიანებს. ქვეყანაზე უსათუოდ ბევრია, ვისაც უნდა, რომ გიყვარდეთ თქვენ ისინი, სურთ თქვენი სითბო, ყურადღება და ზრუნვა.

იარეთ მხოლოდ პირდაპირ! იარეთ წელში გამართულმა, ნუ შეჭმუხნით წარბებს და ნუ დაიძაბებით, თუ ამის საჭიროება არაა. სიარული იყოს მსუბუქი, ნარნარი: თითქოს დაფრინავდეთ, დედამიწიდან 1 სანტიმეტრის სიმაღლეზე. ჩვენი ფიზიკური მდგომარეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ფსიქოლოგიურთან, და თავის ასეთი წარმოდგინება დაგეხმარებათ, განეწყოთ პოზიტიურად.

წინასწარ იგრძენით ბედნიერება. ცხოვრება მრავალფეროვანია და აღსავსე შესანიშნავი მოულოდნელი გარდატეხებითა და მოვლენებით.

ეკა

◎ ფენომენი

სიმაღლის მოტანილი ბედნიერება

საძვეძნოდ ცნობილი გელაპის ინსტიტუტის ბოლო სოციალური გამოკითხვის შედეგად ექსპერტებმა მეტად უცნაური დასკვნა გამოიტანეს: მაღალი ადამიანები ტანდაბლებზე უფრო ბედნიერები არიან. ფსიქოლოგებმა კი ამ უცნაური ფენომენის ახსნა სცადეს.

მკვლევარებმა დიდი ხანია ერთ საკმაოდ ძნელად ასახსნელ ამბავს მიაქციეს ყურადღება: მაღალ ადამიანებს გარშემო მყოფნი, ხშირად ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, პატივს ტანმორჩილებზე მეტად მიაგებენ. რატომ ხდება ასე? ამის პასუხს, როგორც ჩანს, ამერიკის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ბოლო სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგად, აგრეთვე ეკონომიკურ გამოკვლევათა ამერიკის ეროვნული ბიუროს მოხსენების დასკვნებზე დაყრდნობით მიაგნეს. იმის გასარკვევად, თუ რამდენად ბედნიერნი არიან, ფსიქოლოგებმა მილიონი მოხალისე გამოკითხეს. აღმოჩნდა, რომ **177,8 სანტიმეტრის სიმაღლის „მამაკაცურ ნორმასა“ და 162,6 სანტიმეტრის სიმაღლის „ქალურ ნორმაზე“ მაღალი ადამიანები თავს ტანმორჩილებზე უფრო მეტად ბედნიერად გრძნობენ.**

„ისინი კი, ვინც საკუთარი ბედით უკმაყოფილოა, საშუალო სიმაღლეზე დაახლოებით ორი სანტიმეტრით დაბლები არიან“, — ნათქვამია გამოკვლევაში. გარდა ამისა აღმოჩნდა, რომ „ყოველ 2,54 სანტიმეტრის დამატებითი სიმაღლე ბედნიერების დონის ამაღლებას ისევე უწყობს ხელს, როგორსაც ეს საოჯახო ბიუჯეტის 4 პროცენტით გაზრდა იწვევს“. ეს კი, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ თუკი ტანმორჩილ კაცს სოლიდური საბანკო ანგარიში აქვს, მასაც შეუძლია თავი იღბლიანად ჩათვალოს და ბედნიერი იყოს.

მაგრამ, მაინც რატომაა, რომ ტანმაღალი ადამიანები სხვებზე უფრო ბედნიერები არიან?



ბის ისტორიამ აჩვენა, რომ **ტანმაღალ მამაკაცებს თავიანთი ოჯახების სხვებზე უკეთ დაცვა, ნადირის უფრო მარჯვედ მოპოვება და, სულაც, მტრის მოახლოების გაცილებით ადრე დანახვა შეეძლოთ. მათ უფრო გამძლე ჩონჩხი, მაგარი კუნთები აქვთ, თანაც მთელი ამ ხნის მანძილზე სხვებზე უკეთესად იკვებებოდნენ, რადგანაც მეტი ნადავლი მოჰქონდათ. ამასთან, ტანმაღლებს ყოველთვის სხვებზე მეტი სექსუალური პარტნიორი ჰყავდათ, რადგან ქალები ინტუიციურად გრძნობენ: მაღალ მამაკაცებს სხვებზე უკეთესად შეუძლიათ მათთვის და მათი ახლობლებისთვის ცხოვრების კარგი პირობების უზრუნველყოფა.**

წიგნის „გარეგნობის ენის“ ავტორი სერგერი სტეპანოვი კი ამბობს, რომ ტანმორჩილი მამაკაცები არასრულფასოვნების კომპლექსით ბავშვობიდან იტანჯებიან, თუმცა კი სიმაღლის გამო განცდების საკომპენსაციოდ ისინი ტანმაღლების დაწევას აბსოლუტურად ყველაფერში ცდილობენ. ამიტომაცაა, რომ ისინი, ხშირად, სხვებზე გაცილებით უფრო მიზანსწრაფულნი და ზედმეტად პრეტენზიულები არიან, მათ შორის სექსუალურ ურთიერთობებშიც!

ისე კი, ალბათ, ბევრ ჩვენგანს შეხვედრია ერთგვარად კომიკური წყვილები — მამაკაცი ოქრო-ვერცხლით „შემკული“ „ტანმოკლე ფაშაა“, ქალი კი აწოწილი გრძელფეხება მოდელი. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა ტანმორჩილ მამაკაცებს სიყვარულში სხვებზე მეტად უმართლებთ, ვინაიდან პარტნიორის ძიებაში ისინი დაუშრეტელ ენერგიას იჩენენ. ცხოვრებაში ტანდაბალი მამაკაცები უფრო აქტიურები არიან, რადგან არა იმდენად იღბლიანი შემთხვევის, რამდენადაც საკუთარი მოხერხებულობის იმედად არიან.

ქალის პატარა ტანი ბევრს ღირსებადაც კი მიაჩნია, რადგან ასეთი მანდილოსნის გვერდით ნებისმიერი სიმაღლის მამაკაცი გოლიათი ჩანს.

ლალი ხუნდაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სულიერება

მართლმადიდებლობის ზეიმი



24 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი საოციქულო ეკლესია დიდი მარხვის პირველ კვირა დღეს დღესასწაულობს მართლმადიდებელთა ზეიმს.

...ხატმებრძოლობა, რომელიც მთელი საუკუნის მანძილზე მძვინვარებდა წარმოიშვა VII საუკუნეში, ბიზანტიის სახელმწიფოს გაძლიერების ჟამს.

ახლი ერესის – ხატმებრძოლობის საწინააღმდეგოდ იოანე დამასკელმა ჩამოაყალიბა მართლმადიდებლური სწავლება.

ხატთა თაყვანისცემა რომ დამკვიდრებულიყო, ამისთვის გადაწყვიტეს სპეციალური კრების მოწვევა.

842 წელს მოიწვიეს კრება. მისი აქტები ეფუძნებოდა მე-7 მსოფლიო კრების დადგენილებას.

ადგილობრივმა კრებამ დაგმო ხატმებრძოლობა, აღადგინა ხატთა თაყვანისცემა და გამოაცხადა მართლმადიდებლობის ზეიმი, რომელსაც იმ დღიდან მოყოლებული, მართლმადიდებელი ეკლესია ყოველ წელიწადს, დიდი მარხვის პირველ კვირას დღესასწაულობს.

ცნობილია, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებას ხილული ნიშნები – სასწაულებიც მოწმობენ; მადლმოსილი ცეცხლის გადმოსვლა მაცხოვრის საფლავზე, ნათლისღების დღესასწაული, ფერისცვალების დღესასწაულზე – როცა მოწმენდილ ცაზე აუცილებლად გამოჩნდება ღრუბელი თაბორის მთაზე...

მართლმადიდებლობა არის ჭეშმარიტი რელიგია, რადგან იგი ერთარსება ღმერთის – მამის, ძის და სულიწმინდის სამების მადიდებელია.

გიული ლიპარტია

◎ ჩვენი ქარაბადინი

სად უკეთ იკვებებიან?

ყველაზე ჯანსაღად მიჩნეულია იაპონიის სამზარეულო, სადაც სიმსუქნე ერის მხოლოდ 1,5 პროცენტს აწუხებს იმ დროს, როდესაც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა აქ 82 წელია. მეცნიერებმა მოაწყვეს გამოკვლევა და შეეცადნენ გაერკვიათ, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში იკვებებიან ყველაზე ჯანსაღად.

მაგალითად, იაპონიის ეროვნული სამზარეულო ფართოდ იყენებს კომბოსტოს ყველა სახეობას, რასაც შესანიშნავად ეხამება თევზი და სოიას კერძები. ნახშირწყლების მთავარი წყაროა მიკროელემენტებით მდიდარი წიწიბურას ფქვილის ასტრია (ლაფშა). ეტყობა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისიც, რომ იაპონელებთან მიღებულია, კი არ „გადმოიბრუნონ მუცელი“, არამედ შეწყვიტონ ტრაპეზი კუჭის 80 პროცენტამდე ამოვსების დროს. ჯანსაღი საკვების რეიტინგის მეორე სტრიქონი ეკუთვნის სამზარეულოს სინგაპურისა, სადაც სიცოცხლის ხანგრძლივობა ასევე 82 წელია (მსუქანი ადამიანების 1,8 პროცენტის დროს). მართალია, კვების საფუძველი ბრინჯია, მენიუში ჩართულია საკმაოდ ბლომად ბოსტნეული და თევზი. სიტკბოს მოთხოვნილებას ადგილობრივი მცხოვრებლები ჩვეულებრივად იკმაყოფილებენ ტროპიკული ხილით ან დაბალკალორიანი ხილის დესერტებით. ჩინეთის სამზარეულო შედის „სამეულში“ იმის ხარჯზე, რომ კერძების ორი მესამედი დამზადებულია ბოსტნეულზე, ხილზე, პარკოსნებზე ან მთლიან მარცვლეულზე, რომლებიც შეზავებულია ბალახეულით, ფესვებითა და ნივრით. ამ ქვეყნის მცხოვრებთა საშუალო ასაკი 73 წელია. მსუქანი ჩინელების ოდენობა კი მხოლოდ 1,8 პროცენტია.

გინდა ჭამა - ადექი სკამიდან

ჩვეულება, ისადილო სამუშაო ადგილიდან აუდგომლად, თრომბების განვითარების რისკს აორმაგებს. მოწყობილი გამოკვლევის დროს ექსპერტებმა აღმოაჩინეს, რომ სადილობის შესვენებებზე ოფისის ოთხი თანამშრომლიდან სამი სამუშაო ადგილიდან არ დგება. მეორე გამოკვლევამ ოფისების 400 თანამშრომლის მონაწილეობით აჩვენა, რომ მათ, ვინც ჩვეულებრივად სამუშაო ადგილზე სადილობს, თრომბების წარმოქმნის რისკი 2,2-ჯერ ეზრდებათ. თრომბების წარმოქმნას თან სდევს ღრმა ვენების თრომბოზის განვითარება.

სავარძელი - გზა სიბერისკენ

ვადამდელი დაბერების პირველი კანდიდატები ხდებიან ისინი, ვინც თავისი დროის 50-70 პროცენტს მჯდომარე მდგომარეობაში ატარებს, დაადგინეს მეცნიერებმა ლეიჩესტერის (ინგლისი) უნივერსიტეტიდან. სწორედ მათ, უწინარეს ყოვლისა, ემუქრება შაქრის დიაბეტი და გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი, აგრეთვე კანის ჩამოკიდება ტანზე და ნაოჭები სახეზე.

გამოსავალი – ხანმოკლე სიარული ოთახში. ასე რომ, მიაქციეთ ყურადღება, თუ რამდენ დროს ატარებთ მჯდომარე მდგომარეობაში, თუნდაც ფიტნესით იყოთ დასაქმებული, დადიოდეთ სასეირნოდ და მუშაობდეთ აგარაკზე გამოსასვლელ დღეებში.

◎ ანეკდოტები

– ძვირფასო, რა გაქვს დღეს გემრიელი ვახშმად? – ეკითხება სამსახურიდან დაბრუნებული ქმარი ცოლს.

– მე.

– მაგრამ ჩემთვის ყველაფერი ქონიანი აკრძალულია, ძვირფასო.

* * *

– რა განვლილი განვითარებული სოციალიზმი და რა ამჟამინდელი ველური კაპიტალიზმი – ორივე ისეთი ავადმყოფობაა, რომელთაც ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება, – ეუბნება პოლიტოლოგი კოლეგას.

– მაგრამ სოციალიზმისას მედიცინა მაინც იყო უფასო.

სულელი ქალი ცდილობს მამაკაცის ხელახლა აღზრდას, ჭკვიანი კი ცდილობს ასწავლოს მას. და მხოლოდ ბრძენი ქალი ახერხებს თითქმის შეუძლებელს – იგი საერთოდ არ ერევა მის საქმეში.

* * *

– გუშინ სპეციალისტი გამოვიძახე ფირმიდან „ქმარი ერთი დღით“, – ეუბნება სვეტა დაქალს.

– მერე გამოგადგა?

– გამომადგა და თანაც როგორ! უთო გამირემონტა, ჭაღი ჩამომიკიდა, საკეტი შემიკეთა, ბარი და მაცივარი გამომიცარიელა, ქმრიან მეზობლის ქალთან საწოლში იკოტრიალა და გამომშვიდობებისას თვალიც ჩამილურჯა.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ყურადღებიანად

„19 აპრილს დიდი ავანტიურა იგეგმება“

– ფიქრობს ირაკლი ბათიაშვილი, – ეს აქცია თავისთავად არის მორიგი ავანტიურა ნაცმოძრაობის მხრიდან. მე მგონი, არავის სჯერა დღეს ჩვენს საზოგადოებაში, რომ მათ შეიძლება დიდი რაოდენობის მხარდამჭერი მოაგროვონ. ისინი მხოლოდ საკუთარი აქტივისტების მობილიზებას თუ შეძლებენ სრულად, რისთვისაც არ იშურებენ არც ენერგიას და არც ფულს. შეიძლება, სულაც, 19 აპრილის აქციამ ყოველგვარი გართულების გარეშე ჩაიაროს. მე ვფიქრობ, რომ ნაცმოძრაობა ჯერჯერობით, უყურებს მოვლენათა განვითარებას... ისინი ხედავენ, რომ 19 აპრილის აქციით ვერავის შეაშინებენ.

„ახალი თაობა“

ბაგა-ბაღების გარემონტების ხარჯზე მერიის თანამშრომლებმა მილიონები იშოვეს?!

არასამთავრობო ორგანიზაციამ „იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვა ანტიკორუფციული კავშირი“, სკოლამდელი აღზრდის დაწესეულებებში 2009-2011 წლებში გაწეული სარემონტო სამუშაოების შემოწმების მიზნით, მონიტორინგი ჩაატარა. კავშირის თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძე მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ბაგა-ბაღებში გაჩაღებული რემონტომანია საბიუჯეტო თანხის დატაცების უმარტივესი ხერხია, რასაც მერია და ბაგა-ბაღების სააგენტო წლების განმავლობაში წარმატებით ახორციელებდნენ. სარემონტო სამუშაოებს ყოველწლიურად გიგი უგულავასთან დაახლოებული ფირმები ატარებდნენ.

„ვერსია“

გალის ძვედა ზონა იზოლაციაში მოექცა

გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლები სრულ იზოლაციაში მოექცა. დე ფაქტო ხელისუფლების მიერ დაპირებული შემოვლითი გზის გახსნის გადადების პარალელურად, რუსმა ოკუპანტებმა მდინარე ენგურის მთელი პარამეტრი გადათხარეს. ადგილობრივების თქმით, დაძაბულია ვითარება სოფლებშიც, რუსი სამხედროები უმიზეზოდ აჩერებენ მოსახლეობას და საბუთებს სთხოვენ. ორი დღის წინ კი მე-9 კლასის მოსწავლე დაუნდობლად სცემეს.

„რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონისკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com